ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 9 მარტი, 2022 №48 (8826) ფასი: 60 თეთრი

გვ.5

პროკურორი გურული: „გიგი უგულავამ საბოლოო სიტყვაში ფაქტობრივად აღიარა ძალადობა“

შანაი ბრუკის ძმა: „ჩემი დის მკვლელისთვის უვადო პატიმრობას ვითხოვთ“

გვ.5

„უკრაინაში თუ რუსეთი სათავისოდ მოაგვარებს სიტუაციას, მერე ჩვენ მოგვადგება“

გვ.2

გია ხუხაშვილი: „უკრაინელი პოლიტიკოსები დასავლეთში გმირებად არიან გამოცხადებული, ჩვენმა ხელისუფლებამ მტრებად გამოაცხადა და ნაცებად“

„ჩვენი ხელისუფლება უყურებს სიტუაციას და ვინც გაიმარჯვებს, იმის მხარეს იქნება. თუ გაიმარჯვებს უკრაინა, გააგრძელებენ ყვირილს, ნატოს გაუმარჯოსო, თუ რუსეთი გაიმარჯვებს, იტყვიან, რომ გაუმარჯოს წითელ არმიას“

„სალომე ზურაბიშვილი ხელისუფლებაში ერთადერთი ნათელი წერტილია“

გვ.3

მურმან დუმბაძე: „2012 წელს ყველა, ვინც მაშინ ბიძინა ივანიშვილთან მივედით, ღრმა პოლიტიკურ შეცდომაში აღმოვჩნდით“

გვ.3

„ბენზინის ფასი შესაძლოა მალე 4 ლარს გაცდეს“

ნიკა შენგელია: „ლარის კურსი თუ არ გააჩერეს 3.50-ის ფარგლებში, საქართველოში გამოიწვევს კატასტროფას“

„ხელისუფლება ვალდებულია ქვეყანაში სიმშვიდე შეინარჩუნოს“

გვ.4

დათო ლორთქიფანიძე: „ვაკეში, დიღომსა და ავლაბარში ბომბები რომ არ ცვივა, იმას არ ნიშნავს, პრობლემა არ არის. ჩვენ საომარ მდგომარეობაში ვართ“

გვ.4

რა გეოპოლიტიკურ ძვრებს ახდენს ომი უკრაინაში

ISSN 1987-9385

2 იაგო ხვიჩია: „სოფლის მეურნეობის მინისტრი და პრემიერი უნდა გადადგნენ“

5 ნათია მეზვრიშვილი: „თითქმის 7-თვიანი უკანონო პატიმრობის შემდეგ აკაკი ბართაია თავისუფალია“

5 პროკურორი შაიშმელაშვილი: „ბრალდებულმა კავილაძემ არასწორი ინფორმაცია მოგვაწოდა“

6 ბორის ჯონსონი: „პუტინის აგრესია უნდა ჩავარდეს“

„უკრაინაში თუ რუსეთი სათავისოდ მოაგვარებს სიტუაციას, მერე ჩვენ მოგვადგება“

გია ხუხაშვილი: „უკრაინელი პოლიტიკოსები დასავლეთში გმირებად არიან გამოცხადებული, ჩვენმა ხელისუფლებამ მტრებად გამოაცხადა და ნაცებად“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი გია ხუხაშვილი პასუხობს.

– ბატონო გია, შარლ მიშელი აცხადებს, რომ უკრაინის განაცხადს ევროსაბჭო უახლოეს დღეებში განიხილავსო. საქართველო კი ამ შემთხვევაში არ იყო ნახსენები. ჩვენ რა შანსი გვაქვს, თუკი ჩვენი ხელისუფლების ბოლო პერიოდის განცხადებებს და მათ ქმედებებს გავითვალისწინებთ?

– მე მრჩება შთაბეჭდილება, რომ ჩვენი ხელისუფლება საერთოდ არ აპირებდა ამ განაცხადის გაკეთებას და უბრალოდ საზოგადოებამ დააძალა. მაინცდამაინც დიდი სურვილი არ ქონია ამის გაკეთების. ბუნებრივია, ამას აქვს თავისი ობიექტური მიზეზები. ჩვენ ვხედავთ, რა პოლიტიკას ატარებენ ბოლო პერიოდია. ფაქტობრივად, ყველა მათი გადაწყვეტილება წინააღმდეგობაში მოდის იგივე ევროკავშირის გადაწყვეტილებებთან, მათ მიერ გატარებულ პოლიტიკასთან და გარდა ამისა, ბოლო პერიოდში ძალიან ბევრი კომპრომატი დაგროვდა მათზე. მათ შორის, იგივე შარლ მიშელი ახსენეთ და უპრეცედენტო ანულირება შარლ მიშელის მონაწილეობით და ძალისხმევით შექმნილი საერთაშორისო შეთანხმების. ის, რაც „ქართულმა ოცნებამ“ იკადრა თავის დროზე. გარდა ამისა, რომელი ერთი დავასახელო, სახელმწიფო ინსპექტორის ინსტიტუტის გაუქმება, ძალიან მკვახე უარის თქმა სასამართლოში რეალური რეფორმების გატარებაზე, რაც არაერთხელ მიგვითითა ევროკავშირმა. სხვა უბედურებებზე აღარაფერს აღარ ვიტყვი.

– ანუ დადებითი პასუხის მოლოდინი არ გაქვთ?

– შესაძლოა გარკვეული შანსი მოგვცენ, მაგრამ ჩვენ რომ ამ მიმართულებით წინ წავიწევთ, მე ამის იმედი ნამდვილად არა მაქვს.

– რუსეთმა სია გამოაქვეყნა არამეგობარი ქვეყნების და ჩვენ იმ სიაში არ აღმოვჩნდით. ანუ მეგობრად მიგვიჩნევს?

– დღეს როგორი სიტუაციაა იცით, დღეს სამყარო გაიყო ორ ნაწილად, მტრებად და მეგობრებად. ფრონტის ხაზმა გაიარა. ჩვენი ხელისუფლება კი ისე იქცევა, ძალიან ძნელია იმის თქმა, ვის თვლიან ისინი რეალურ მეგობრებად და ვის მტრებად. პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა. ისინი ცდილობენ, რომ არ დააფიქსირონ საკუთარი პოზიცია. კოლაბორაციონიზმის ზღვარზე თამაშობენ, სამწუხაროდ და ამას ამართლებენ სახელმწიფო ინტერესებით.

– საიდან გამომდინარეობს ეს პოზიცია, თქვენ რით ხსნით ამას?

– მე ვფიქრობ, რომ აქ პოლიტიკის ქვაკუთხედად აქციეს შიში რუსეთის მიმართ. მათი მთავარი გზავნილი რა არის ამ პოლიტიკის გატარებაში, რომ ომი გინდათ?! მზად არიან ამ შიშს შეწირონ ღირსება, გრძელვადიანი ქვეყნის განვითარების სტრატეგია და ზოგადად ყველაფერი. ანუ შიში გახადეს ყველაფრის ქვაკუთხედად. ამ დროს ძალიან მარტივი ლოგიკაა, შენ თუ შენი პოლიტიკის მთავარ მოტივატორად, მთავარ პრიორიტეტად შიშს ასახელებ, რუსეთს მეტი კი არაფერი არ უნდა, რუსეთს უნდა, რომ მისი გეშინოდეს! რუსეთს სულაც არ უნდა, რომ უყვარდე და არც იმის ილუზია აქვს, რომ როდესმე შეუყვარდები. მათ უნდათ, რომ გეშინოდეს. შენც გეშინია და აკეთებ ყველაფერს ისე, რომ ის არ გააღიზიანო, ანუ ისე, როგორც მას უნდა. შესაბამისად, მისი ლუკმა ხარ უკვე. მე ამიტომ ვლაპარაკობ, კოლაბორაციონიზმის ზღვარზეა თქო ხელისუფლება. მე არ ვთვლი იმას, რომ ჩვენ გვყავს პრორუსული ხელისუფლება, მაგრამ კაპიტულანტური პოლიტიკის გატარება, თავისთავად ნიშნავს კოლაბორაციონიზმს. ვიღაცას რომ ნებდები, ეს აუცილებლად იმას კი არ ნიშნავს, რომ გიყვარს და მასთან გინდა, შეიძლება არ გინდა, მაგრამ იმდენად გეშინია, რომ მასთან მიდიხარ. აი ამ პოლიტიკას ატარებს დღევანდელი საქართველოს ხელისუფლება. პირდაპირ გეტყვით, ეს სერიოზული პრობლემაა

– რას იტყვით სალომე ზურაბიშვილის განცხადებებზე? საუბარია, რომ ის გაემიჯნა ხელისუფლებასო. ასეა?

> **„ჩვენი ხელისუფლება უყურებს სიტუაციას და ვინც გაიმარჯვებს, იმის მხარეს იქნება. თუ გაიმარჯვებს უკრაინა, გააგრძელებენ ყვირილს, ნატოს გაუმარჯოსო, თუ რუსეთი გაიმარჯვებს, იტყვიან, რომ გაუმარჯოს წითელ არმიას“**

– რა არის იცით, მოდით, ასე ვთქვათ, რომ მას აქვს სწორი განცხადებები, რომელიც ჯერჯერობით ქმედებებში არ აისახება. ჯერჯერობით ის რიტორიკით შემოიფარგლება, რაც კარგია და ამას ნამდვილად ვერ დავუწუნებთ, მაგრამ ჩვენ ისინი ქმედებებში გვინდა ვიხილოთ. ამ მიმართულებით კი ჯერ კითხვის ნიშნები არსებობს.

– სოფლის მეურნეობის მინისტრის განცხადებები იყო ასევე შოკის მომგვრელი.

– ძალიან სამარცხვინოა. სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ფაქტობრივად თქვა, რომ სხვებმა სანქციები უნდა დაუწესონ რუსეთს და ჩვენ შანსი გვეძლევა რუსეთის ბაზარზე ვიმუშაოთო. აი ეს გვითხრა ფაქტიურად. ეს არის აბსოლუტურად ამორალური და ჩვენი პარტნიორების ლოგიკიდან არა თუ ამოვარდნილი, არამედ მისი საწინააღმდეგო განცხადებები. აი ამ ლოგიკით ლაპარაკობენ, ისე, რომ ვერც ხვდებიან, რას ამბობენ.

– მსოფლიო სანქციებს უწესებს რუსეთს და ჩვენ გზას ვუხსნით?

– ასე გამოდის. ჩვენ ხომ ფაქტობრივად ერთს ვაცხადებთ და საწინააღმდეგო მიმართულებით მივდივართ. უკრაინელი პოლიტიკოსები დასავლეთში გმირებად არიან გამოცხადებული, ჩვენმა ხელისუფლებამ მტრებად გამოაცხადა და ნაცებად. მსოფლიო სანქციებს უწესებს რუსეთს, ჩვენ მივესალმებით ეკონომიკურ აქტივობას რუსეთის მხრიდან. მთელი მსოფლიო ლტოლვილებს იღებს უკრაინიდან, ჩვენ – რუსეთიდან ვიღებთ „ლტოლვილებს“. აი ამ პოლიტიკას ვეწევით. ფაქტობრივად აცდენილი ვართ ყველას და ყველაფერს. ამ ფონზე თან განაცხადი შეგვაქვს ევროკავშირში. მითხარით ახლა, ეს ტრაგიკომედია არ არის?!

– რამდენად საშიშ მდგომარეობაშია ქვეყანა? ჩვენც ხომ არ გავხდებით სამიზნე?

– სწორედ ამას ვამბობ. რა თქმა უნდა, საშიში მდგომარეობაა. დღეს ჩვენ გვაქვს ერთადერთი ფარი, ეს არის უკრაინა. უკრაინაში თუ რუსეთი სათავისოდ მოაგვარებს სიტუაციას, მერე ჩვენ მოგვადგება, ბუნებრივია. მაგრამ აქ ინტერვენცია არც დასჭირდება, ისედაც უწვებიან ესენი. ჩვენი ხელისუფლება ახლა ატარებს ასეთ პოლიტიკას, უყურებს სიტუაციას და ვინც გაიმარჯვებს, მერე გამარჯვებულის მხარეს იქნება. თუ გაიმარჯვებს უკრაინა, გააგრძელებენ ყვირილს, ნატოს გაუმარჯოსო, თუ რუსეთი გაიმარჯვებს, იტყვიან, რომ გაუმარჯოს წითელ არმიას. საერთოდ არანაირი პრობლემა არა აქვთ. აი ასეთ პოლიტიკას ატარებენ და ამას ეძახიან პოლიტიკას და პრაგმატიზმს. ეს სამარცხვინოა, პირდაპირ გეტყვით. ჩვენ ახლა ისტორიულად მოვიჭერით თავი მთელი სამყაროს წინაშე. საერთოდ არ გაგვაჩნია სახელმწიფოებრივი ღირსება, აი სწორედ ამის დემონსტრირებას ვახდენთ ახლა და მეტი არაფერი.

იაგო ხვიჩია: „სოფლის მეურნეობის მინისტრი და პრემიერი უნდა გადადგნენ“

– „ქართულ ოცნებას“ ვურჩევდი, ჰქონდეთ ასეთი წესი გუნდის შიგნით, რომ თუ ასეთ სისულელეს იტყვი, როგორიც იყო სოფლის მეურნეობის მინისტრის განცხადება, პირადი პასუხისმგებლობის გამო მაინც მიდიოდნენ თანამდებობიდან.

ამის შესახებ „გირჩის“ დეპუტატმა იაგო ხვიჩიამ განაცხადა, რითაც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 7 მარტის განცხადებას გამოეხმაურა.

იაგო ხვიჩიას თქმით, ამავე პრინციპით თანამდებობა უნდა დატოვოს პრემიერ-მინისტრმაც. როგორც მან აღნიშნა, მსგავსი განცხადებები, რაც დრო გავა, მით მეტად დაამძიმებს „ქართულ ოცნებას“.

– ჩემი აზრით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 7 მარტის განცხადებები იმდენად არაადეკვატური იყო, რომ ის უნდა გადადგეს არა იმის გამო, რომ მისი გადადგომით რაიმე შეიცვლება, არამედ იმის გამო, რომ უნდა არსებობდეს ასეთი წესი, როცა ასეთ სისულელეს იტყვი და ჩაიდენ, მინიმუმ, იმდენ პასუხისმგებლობას უნდა გაკისრებდნენ საკუთარი თანაგუნდელები, რომ მიდიოდე.

ამ განცხადებას სულ შეგვახსენებენ, თუ როგორ იქცეოდნენ მინისტრები აქ, როცა სახავდნენ გზას რუსეთის ბაზარზე ქართული პროდუქციის შესატანად ომის პარალელურად და ამბობდნენ, რომ ეს არის სტაბილური ბაზარი. ეს დამოკიდებულება, რაც უფრო მეტი დრო გავა, მით მეტად დაამძიმებს „ქართულ ოცნებას“. ამიტომ მათ ვურჩევდი, ჰქონდეთ ასეთი წესი „ოცნების“ შიგნით, რომ თუ ასეთ სისულელეს იტყვი, ადამიანები არა იმიტომ, რომ რაიმე შეიცვლება, მაგრამ პირადი პასუხისმგებლობის გამო მაინც მიდიოდნენ თანამდებობიდან.

პრემიერ-მინისტრის წასვლაც მოთხოვნილი გვაქვს – მას შემდეგ, როცა უკრაინა გაიმარჯვებს და დელეგაციებთან საუბრები აღდგება, წარმოგიდგენიათ, რომ ღარიბაშვილი გავუშვათ ზელენსკისთან ან ვინმესთან სალაპარაკოდ?! – განაცხადა ხვიჩიამ.

ცნობისათვის, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის, ოთარ შამუგიას, განცხადებით, რუსეთსა და ევრაზიის კავშირის ქვეყნებში ცხოველური წარმოშობის სურსათის ექსპორტი ქართული კომპანიებისთვის არის შესაძლებლობა, რომ მათ დაგეგმონ უფრო მეტი წარმოება და გრძელვადიან პერსპექტივაში ჰქონდეთ კონკრეტული გეგმები.

გიორგი კანდელაკი: „ქართული ოცნება“ უარს ამბობს ქვეყნის დეოკუპაციაზე“

– შეთანხმებული ხაზია, როგორც ჩანს, პრემიერის დონეზე, აჭარის მთავრობის თავმჯდომარის დონეზე, რომ მათ არა თუ სიტყვა აგრესიის, არამედ რუსეთის ხსენებაც კი აკრძალული აქვთ.

ამის შესახებ „ევროპული საქართველოს“ წევრმა, გიორგი კანდელაკმა, ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

მისივე თქმით, ეს არის საქართველოს ღალატი და მთავრობა უარს ამბობს მომავალში ქვეყნის დეოკუპაციაზე.

– შეთანხმებული ხაზია, როგორც ჩანს, პრემიერის დონეზე, აჭარის მთავრობის თავმჯდომარის დონეზე, რომ მათ არა თუ სიტყვა აგრესიის, არა თუ სიტყვა სამხედრო შეჭრის, არამედ რუსეთის ხსენებაც კი აკრძალული აქვთ. პრაგმატიზმსა და უღირსობას შორის, პრაგმატიზმსა და ღალატს შორის დიდი ზღვარია, ეს ერთი და იგივე არ არის. ამ უღირსი, მოღალატეობრივი საქციელით, არ მინდა ამის თქმა, თუმცა სხვა გზა არ არის, ეს არის საქართველოს ღალატი, მთავრობა უარს ამბობს მომავალში ქვეყნის დეოკუპაციაზე, – განაცხადა გიორგი კანდელაკმა.

უსაფრთხოების სამსახური: ვრცელდება დეზინფორმაცია რუსი და ბელარუსი მოქალაქეების მასობრივი შემოდინების შესახებ

საქართველოს უსაფრთხოების სამსახურმა ფეისბუქში დაწერა:

„გვსურს გამოვეხმაუროთ ბოლო დღეების განმავლობაში მიზანმიმართულად გავრცელებულ დეზინფორმაციას საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეების, კერძოდ, რუსეთის ფედერაციისა და ბელარუსის მოქალაქეების ე.წ. მასობრივი და უკონტროლო შემოდინების შესახებ.

მიმდინარეობს საზოგადოების დაშინება შემოსულ პირთა შორის ე.წ. დივერსანტების, ტერორიზმთან დაკავშირებული ჯგუფების და ა.შ. არსებობის შესახებ.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ქვეყანაში არსებული უსაფრთხოების გარემო სრულ კონტროლს ექვემდებარება. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური სხვა შესაბამის უწყებებთან ერთად აქტიურ რეჟიმში ატარებს ყველა საჭირო ღონისძიებას, რათა მინიმუმამდე შემცირდეს შესაძლო რისკები და გამოწვევები, ასევე, სრულად იქნას გაკონტროლებული ქვეყანაში მყოფი პოტენციური რისკის შემცველი ყველა პირი.

გატარებული ღონისძიებების შედეგად ქვეყნის მასშტაბით შენარჩუნებულია მშვიდი და უსაფრთხო გარემო. ქვეყანაში შემოსული რუსეთის ფედერაციის, ბელარუსის და სხვა უცხო ქვეყნების მოქალაქეების მიერ არ შეიმჩნევა ქვეყნის უსაფრთხოებისათვის რისკის შემცველი აქტივობების განხორციელების ტენდენცია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე პერიოდში ქვეყანაში შემომსვლელ პირთა რაოდენობა არ აღემატება გასული წლების ანალოგიური პერიოდის სტატისტიკას. საქართველოს სახელმწიფო, ქვეყნის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის მოქალაქის დაშვების სუვერენულ უფლებას ახორციელებს კანონმდებლობის სრული დაცვით, არსებული რისკებისა და გამოწვევების შესაბამისად.“

გვარამია: „მოვითხოვთ ჩვენი ჟურნალისტის, ბაჩი ვალიშვილის, დაუყოვნებლივ გათავისუფლებას“

– მოვითხოვთ ჩვენი ჟურნალისტის, ბაჩი ვალიშვილის, დაუყოვნებლივ გათავისუფლებას.

ასე მიმართავს „მთავარი არხის“ გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია სამართალდამცავებს მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ კანცელარიასთან 7 მარტს მიმდინარე აქციაზე ბაჩი ვალიშვილი დააკავეს.

– გამოთქვამდა პროტესტს, მაგრამ ამავდროულად, ახორციელებდა ჟურნალისტურ საქმიანობას, მოვითხოვთ, რომ დაუყოვნებლივ იყოს გათავისუფლებული. მყისიერად. ამ ინფორმაციის გავრცელებისთანავე, ჩემი მომართვისთანავე ბაჩი ვალიშვილი იყოს გათავისუფლებული და პირველ რიგში მოგვეწოდოს ინფორმაცია, სად იმყოფება და რა საფუძვლით არის ის დაკავებული, – ამბობს ნიკა გვარამია.

პრეზიდენტი ზურაბიშვილი პარლამენტს 14 მარტს მიმართავს

პრეზიდენტი პარლამენტს ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე მოხსენებით 14 მარტს მიმართავს.

სალომე ზურაბიშვილის პარლამენტის ტრიბუნიდან გამოსვლის თარიღი შეთანხმებულია.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარემ, ირაკლი ქადაგიშვილმა, განუცხადა, 9 მარტს ბიუროს სხდომა გაიმართება, სადაც 14 მარტისთვის პლენარული სხდომის მოწვევის გადაწყვეტილებას მიიღებენ.

სალომე ზურაბიშვილს ჰქონდა სურვილი, ყოველწლიური მოხსენებით პარლამენტის წინაშე 5 მარტს გამოსულიყო, თუმცა მისი ეს ინიციატივა „ქართული ოცნების“ უმრავლესობამ არ გაიზიარა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„სალომე ზურაბიშვილი ხელისუფლებაში ერთადერთი ნათელი წერტილია“

მურმან დუმბაძე: „2012 წელს ყველა, ვინც მაშინ ბიძინა ივანიშვილთან მივედით, ღრმა პოლიტიკურ შეცდომაში აღმოვჩნდით“

ნათია ხურცილავა

„ნაციონალური მოძრაობა — გაერთიანებული ოპოზიციის“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო მურმან, რძის პროდუქციის რუსეთში შეტანაზე უკვე ღიად საუბრობს სოფლის მეურნეობის მინისტრი. თუმცა, მანამდე „ქართული ოცნების“ წვერები ამ ინფორმაციას რუსულ პროვოკაციას უწოდებდნენ. თქვენ როგორ აფასებთ შექმნილ სიტუაციას?

– რეალურად მესამე მსოფლიო ომია, რა სახელიც არ უნდა ერქვას დღეს ამ ომს. რუსეთი, უფრო კონკრეტულად კი პუტინი, მთელ ცივილიზებულ სამყაროს ებრძვის. სამყარო დაყოფილია კეთილ და ბოროტ მხარეებად. თითზე ჩამოსათვლელია ან საერთოდ არ არსებობს ასეთი ქვეყანა, რომელიც დღეს პუტინს ღიად უჭერს მხარს, ცხადია, ლუკაშენკოს რეჟიმზე არ ვსაუბრობ. ამ დროს ჩვენ საკუთარი თვალებით და ყურებით ვხედავთ და გვესმის, რომ საქართველოს ხელისუფლება დგას პუტინთან.

დღეს ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებამ არასწორი კურსი აირჩია. ის ბნელ მხარეს აღმოჩნდა. ეს არ დარჩება ისე, ამისთვის მას ამ ქვეყნის მოქალაქეები თუ არა, ისტორია განსჯის, რადგან ეს ქვეყნის მომავლის წინაშე ჩადენილი დანაშაულია, ღალატია წინაპრების, რომლებმაც თავი გაწირეს. თუმცა, თუ ასე გააგრძელებენ და ღია კოლაბორაციონალიზმს გამოავლენენ, ეს ძალიან სახიფათო შეიძლება აღმოჩნდეს ქვეყნისთვის.

– კონკრეტულად რას გულისხმობთ?

– დასავლეთი ამისთვის დაგვსჯის. არავინ განიხილავს ევროკავშირში არათუ საქართველოს წევრობას, საერთოდ მარტონი აღმოვჩნდებით ყოველგვარი პარტნიორის, მეგობრის გარეშე. როგორც ჩანს, „ქართული ოცნება“ ამ გზას დაადგა.

ის მაინც არ გაუგიათ, რომ მეორე მსოფლიო ომში სტალინმა ჰიტლერი კოალიციური ჯარებით დაამარცხა, რომ მარტო ვერაფერს ვერ გახდებოდა. დავიჯერო, ეს მაინც არ იციან?! ან იმას მაინც ვერ ხვდებიან, რომ პუტინი განწირულია დამარცხებისთვის?! ამას დიდი ალგორითმი არ სჭირდება. დღეს თუ ხვალ უკრაინა ამ ომში გაიმარჯვებს, მერე რას აპირებენ?! მე მათ გარანტიას ვაძლევ, პუტინთან ერთად ესენიც დასრულდებიან.

– მათი არგუმენტია, რომ სიფრთხილით მოქმედებენ. შეიძლება ამ მიდგომაში რაციონალური პოლიტიკა იყოს?

– ეს არც პოლიტიკაა და არც რაციონალიზმი. ეს მხოლოდ დავალების შესრულებას ჰგავს, რომელიც, როგორც ჩანს, თავის დროზე ბიძინა ივანიშვილს მიღებული აქვს. 2012 წელს ყველა, ვინც მაშინ ბიძინა ივანიშვილთან მივედით, ღრმა პოლიტიკურ შეცდომაში აღმოვჩნდით. ნელ-ნელა იმ ხალხის გამოდევნით, რომლებიც რეალურად წარმოადგენდა „ქართულ ოცნებას“, საბოლოოდ ყველაფერი გაირკვა და ყველაფერს თავისი სახელი დაერქვა. მართალია მაშინ სააკაშვილის ხელისუფლებამაც შეუწყო ხელი იმ ცვლილებას, რაც მოხდა, მაგრამ მაშინ ძალიან რთულად წარმოვიდგენდი, რომ ასეთ პოლიტიკურ შეცდომაში მივიღებდი მონაწილეობას. ახლა უკვე ყველაფერი ნათელია. რატომ არ განხორციელდა ანაკლიის პროექტი. ის ფრაზაც, რომელიც საყოველთაოდ არის ცნობილი – რა უნდათ შავ ზღვაში ამერიკულ გემებს!

– საქართველოს კონსტიტუციით არის გარანტირებული ნატოს წევრობაც და დასავლური არჩევანიც. ფიქრობთ, შეიძლება ეს გადაიხედოს?

– საქართველოს მოქალაქეები ისტორიის ნათელ მხარეს დგანან და მას ეს ხალხი ყოველდღე ადასტურებს. ღმერთმა ნუ ქნას, იქამდე მივიდეს საქმე, რომ ხალხის, ამ ქვეყნის მოქალაქეების წინააღმდეგ წავიდეს ხელისუფლება, თორემ მერე უკვე მართლა აღარაფერი ეშველებათ. ახლა რამდენიც უნდათ, იმდენი რძე და ყველი შეიტანონ რუსეთში, მიართვან პუტინს, ეს ჩემთვის მეასეხარისხოვანია, მთავარია ხალხი დგას ნათელ მხარეს, სიკეთის მხარეს.

– 13 მარტს საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტს ყოველწლიური მოხსენებით მიმართავს. რას ელოდებით სალომე ზურაბიშვილისგან?

– სალომე ზურაბიშვილის მეხოტბე ვერ გავხდები, მაგრამ ერთი, რაც შემიძლია გითხრათ, არის ის, რომ ამ ხელისუფლებაში ერთადერთი ნათელი წერტილია. ადამიანები შეცდომებს უშვებენ, არასწორ ნაბიჯებს დგამენ, მაგრამ თუ მისი გამოსწორება შეუძლიათ, სინანული შეუძლიათ, ეს კარგია. სალომე ზურაბიშვილს აქვს შანსი, რომ საბოლოოდ განთავისუფლდეს შეცდომისგან, როდესაც თქვა, 2008 წელს ომი საქართველომ დაიწყო. მას შეუძლია ერთი ხელის მოსმით პუტინის პირადი ტყვე მიხეილ სააკაშვილი საპყრობილედან გაათავისუფლოს.

თქვენ ზურაბიშვილის პარლამენტისადმი მიმართვაზე, გამოსვლაზე მკითხეთ, იმედი მაქვს, იმ კურსს გააგრძელებს, რომელიც აქამდე ჰქონდა და მისი მიმართვაც ამ კურსისა და რიტორიკის ადეკვატური იქნება.

„ბენზინის ფასი შესაძლოა მალე 4 ლარს გაცდეს“

ნიკა შენგელია: „ლარის კურსი თუ არ გააჩერეს 3.50-ის ფარგლებში, საქართველოში გამოიწვევს კატასტროფას“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ნიკა შენგელია პასუხობს.

– ბატონო ნიკა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ ეკონომიკურ პროცესებს? სერიოზული გამოწვევის წინაშე დგას არა მარტო ჩვენი ქვეყანა, არამედ მთელი ევროპა. რუსეთ-უკრაინის ომმა სერიოზული ზიანი მიაყენა ბევრი ქვეყნის ეკონომიკას. გაძვირდა საწვავი, საკვები პროდუქტები. რა პროგნოზები გაქვთ?

– ამ ომმა არა მარტო საქართველო დააყენა გამოწვევების წინაშე, არამედ მთელი ევროპა და ეს უკვე სახეზეა. ვხედავთ სად ავიდა საწვავის ფასი. ისეთი ფასი ფიქსირდება ნავთობზე, მსგავსი ჯერ არ ყოფილა ისტორიაში. ამიტომ ეს სანქციები რუსეთსაც შეეხება და შეეხება მთელ ევროპასაც. ევროპას გაცილებით ძვირი უჯდება ეს ყველაფერი, ვიდრე წარმოედგინათ. ეს მონაცემები კიდევ უფრო შეიცვლება და სხვა სფეროებშიც გამოვლინდება, გარდა ენერგეტიკული სექტორისა.

– კონკრეტულად საქართველოზე რას იტყვით?

– რაც შეეხება საქართველოს. როგორც იცით, საქართველოში ომის პირველივე დღეს მოხდა ლარის მკვეთრი გაუფასურება. არ უნდა მომხდარიყო ეს.

– ეს იყო მანიპულაცია? ხელოვნური ჩარევა?

– რა თქმა უნდა. მიეცათ ამის საბაბი, იაფად ჰქონდათ ნაყიდი დოლარი, ბოლოს 2.97 ლარად იბარებდნენ. ფსიქოლოგიური მომენტია, ხალხმა იფიქრა ლარი მყარდებოდა და დოლარის გაყიდვა დაიწყო. შემდეგ დავინახეთ, ერთ დღეში რაც მოხდა. ამჟამად დოლარის ყიდვა კომერციულ ბანკებში 3.52 ლარად არის შესაძლებელი. ეს ძალიან მაღალი კურსია. მე ვიმედოვნებ, რომ ლარის კურსი არ გაცდება 3.55-იან ზღვარს. თუკი ეს ასე მოხდა და ლარის კურსი არ გააჩერეს 3.50-ის ფარგლებში, მაშინ, უახლოეს მომავალში ჩვენ შეიძლება ვიხილოთ 3.70-იანი ნიშნული, რომელიც საქართველოში გამოიწვევს კატასტროფას.

– კატასტროფას რა კუთხით?

– თავადვე ბრძანეთ, რომ საწვავის ფასი ძალიან გაძვირდა. გეთანხმებით, ისტორიული მაქსიმუმი გადაწერა. ასეთი ფასები არავის ახსოვს საწვავზე. საწვავის ფასი კიდევ მოიმატებს, პირველი, ლარის კურსის გამო და მეორე, ისედაც გაძვირებულია მსოფლიო ბაზარზე ნავთობი და ორ-სამ კვირაში ჩვენთანაც ჰპოვებს ასახვას. ბენზინის ფასი შესაძლოა მალე 4 ლარს გაცდეს. არაერთხელ მოვუწოდეთ ხელისუფლებას, რომ მოეხსნა აქციზის გადასახადი.

– აქტიურად მოითხოვენ ამას ეკონომიკის ექსპერტები ხელისუფლებისგან, რა შეღავათს მოგვცემს აქციზის გადასახადის მოხსნა?

– ეს მოგვცემდა იმ შეღავათს, რომ ინფლაცია არ დაჩქარდებოდა. ახლა ინფლაციის მაჩვენებელი კიდევ უფრო მეტად მოიმატებს. ახლა სასურსათო მაღაზიებში რა ფასებსაც უყურებთ, დამერწმუნეთ, მაქსიმუმ ერთი კვირის თავზე, თქვენ ამ ფასებს ვეღარ დაინახავთ. ფასები იქნება საგრძნობლად მომატებული. მარტის თვის ინფლაციის მაჩვენებელი იქნება ძალიან მაღალი.

– აქციზის გადასახადის მოხსნა რამდენი თეთრით შეამცირებს საწვავზე ფასს?

– სულ მცირე 30 თეთრით შეამცირებდა. ჩვენ გაცილებით ადრე ვითხოვდით ამას. ახლა მთავარ საფრთხეს მე რაში ვხედავ.

– რაში ხედავთ?

– სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, ბოლო თვეებში ორასზე მეტი კომპანიის განაცხადი შევიდა საჯარო რეესტრში, რომ გახსნან კომპანია საქართველოში.

– ეს მართლა რუსული კომპანიებია, ბატონო ნიკა?

– ფაქტია, რომ რუსეთის მოქალაქეების მხრიდან შევიდა ეს განცხადებები, რომ გახსნან კომპანიები. ამ კომპანიების ძირითადი მიზანი რა არის? მათი მიზანია რუსეთიდან წამოსული საქონელი გადაიფუთოს საქართველოში და ისე გავიდეს ევროპაში და პირიქით, ევროპიდან მიიღონ საქონელი და ექსპორტის მიზნით გაიტანონ რუსეთში. ამის შედეგებს უახლოეს ერთ-ორ თვეში დავინახავთ. მე მეშინია იმის, რომ საქართველო არ გახდეს ე.წ. ხვრელი ამ მიმოსვლის და არ მოგვაყოლონ ჩვენც ეკონომიკურ სანქციებში. ერთი ის მოვახერხეთ, რომ რუსეთის მეგობარ ქვეყნებში აღმოვჩნდით. ომი რომც დასრულდეს, რუსეთზე ზეწოლა და სანქციები გაგრძელდება. მე არ მაქვს სურვილი, რომ საქართველო გახდეს ასეთი ხვრელი, სანქციებს ასეთი ფორმით გვერდი აუაროს და ამის გამო შემდეგ ჩვენც მოგვაყოლონ აი ამ სანქციებში.

– პრემიერ-მინისტრი აცხადებს, რომ 18%-იანი ეკონომიკური ზრდა გვაქვსო. ეს რის და ვის ხარჯზე?

– თუ კიდევ უფრო გააორმაგებს ფასებს პროდუქციაზე, ზრდა კიდევ იქნება. თუ ფასები გაიზრდება, რა თქმა უნდა, ზრდა გვექნება. ეს ხდება ფასების ზრდის ხარჯზე.

– მოსახლეობა რომ ღატაკდება?

– ეგ ნაკლებად აინტერესებს პრემიერს. მათთვის მთავარია მაჩვენებელი იყოს კარგი. ძალიან ცუდი მდგომარეობაა. მოსახლეობა სულ უფრო და უფრო ღატაკდება. აღარ არის მსყიდველუნარიანი. რუსეთში რუბლი გაუფასურდა, ინფლაცია იქაც მაღალ დონეზეა. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ რუსეთიდან ვინმე საქართველოში ტრანზაქციის სახით ეხმარებოდა თავის ოჯახის წევრებს, ის იმდენს ვეღარ გადმორიცხავს. ესეც ძალიან ცუდ მდგომარეობაში ჩააყენებს ჩვენს მოსახლეობას. ასევე შეიმჩნევა იმპორტული პროდუქციის დეფიციტი ჩვენი მარკეტების დახლებზე. ეს ერთ კვირაში კიდევ მეტად შესამჩნევი იქნება. სანამ იმპორტიორები სხვა ქვეყნებიდან ჩაანაცვლებენ ანალოგიური პროდუქციით, ამას დრო დასჭირდება, ასევე, ამ პროდუქციას ფასიც სხვა ექნება და გაცილებით მეტი. ორ კვირაში მარკეტში რომ შეხვალთ, ნახავთ, რა საოცარი ფასები დაგხვდებათ. აი ამას მიაქციოს ყურადღება ჩვენმა ხელისუფლებამ. თუ რამე ხდება, მაშინვე გარე ფაქტორებს აბრალებენ. ომის პირველივე დღეს ლარის მკვეთრი გაუფასურება, ეს არის მანიპულაცია ბანკების მხრიდან და ამას ეროვნული ბანკი უწყობს ხელს. სრულიად დაინგრა ლარის იმიჯი. ამხელა გაუფასურება უკრაინულ ფულს არ მიუღია, გაჩაღებული ომია იქ.

– რამდენად ხედავთ ამ ეტაპზე იმის შესაძლებლობას, რომ ქართული პროდუქტები შევიდეს რუსეთის ბაზარზე? თუნდაც რძის ნაწარმთან დაკავშირებით იყო ატეხილი დიდი აჟიოტაჟი.

– რძით და რძის პროდუქტებით საკუთარ ბაზარს 10%-ით ვერ აკმაყოფილებს საქართველო. თუ ვინმეს გონია, რომ დაიტვირთება ეშელონები და რუსეთში წავა პროდუქცია, ძალიან შემცდარა. ჩვენ რძის პროდუქტებს როგორ ვაწარმოებთ? რუსეთიდან და უკრაინიდან შემოდის რძის ფხვნილი. თუმცა აქვე დავამატებ, ხვრელის გაჩენის შემთხვევაში, არაფერია გამორიცხული. მკაცრი კონტროლი უნდა დააწესოს ხელისუფლებამ, შეიქმნას ექსპერტთა ჯგუფი და დააკვირდნენ ამ ახლად გახსნილი კომპანიების საქმიანობას. აკონტროლონ და მოაქციონ კანონის ჩარჩოში.

– რუსეთის მოსახლეობის შემოდინება ხდება დიდი რაოდენობით ჩვენს ქვეყანაშიო. ესენი რომ ტურისტები არ არიან, ესეც ცხადია. თვეობით უნდათ ბინების ქირაობა. ეს არ არის საშიში? არ შეგვიქმნის პრობლემებს?

– ეს უკვე იგრძნობა ბაზარზე, ძალიან გაიზარდა ბინის ქირაობის ფასები. ერთი, რა რეკომენდაციაც მინდა მივცე ეროვნულ ბანკს, ამ ხალხს, ანგარიშებს რომ ხსნიან აქ, კომერციულ ბანკებში, დაუწესონ ლიმიტები. ყოველთვიურად 3-4 ათასი დოლარის ფარგლებში, ის თანხა, რაც აუცილებელია მათი აქ ცხოვრებისა და კვებისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ ანგარიშებზე მოხვდება რუსული ფული, ეს ფული გადაიქცევა დოლარად და წავა სავალუტო ჯიხურებში, რაც ლარზე სერიოზულ ზეწოლას გამოიწვევს. ჩვენი ქვეყანა კი ამას ვერ გაუძლებს. ლარის კურსის გაუფასურება კიდევ პირდაპირ ურტყამს პროდუქტებს. ფასები კატასტროფულად მოიმატებს.

„ხელისუფლება ვალდებულია ქვეყანაში სიმშვიდე შეინარჩუნოს“

დათო ლორთქიფანიძე: „ვაკეში, დიღომსა და ავლაბარში ბომბები რომ არ ცვივა, იმას არ ნიშნავს, პრობლემა არ არის. ჩვენ საომარ მდგომარეობაში ვართ“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს მე-8 მოწვევის პარლამენტის წევრი „ქართული ოცნებიდან“ დათო ლორთქიფანიძე პასუხობს.

– ბატონო დათო, უკრაინაში რუსეთის ომის ფონზე, საქართველოში შიდა დაძაბულობა იგრძნობა, რადიკალიზაცია გაიზარდა და ხელისუფლების, პრემიერის გადადგომის მოთხოვნა გაჩნდა. როგორ აფასებთ ამ პროცესს?

– მათი მხრიდან პრემიერის გადადგომის მოთხოვნა არასერიოზულია. ამ ეტაპზე ხელისუფლების გადადგომის არანაირი საფუძველი არ არსებობს. ისინი ხელისუფლებაში მოსასვლელად იბრძვიან.

– მათ სხვადასხვა საკითხებზე აქვთ პრეტენზიები. პრეტენზია აქვთ, რომ რუსეთმა თავის ბაზარზე ქართული რძის პროდუქტების შეტანა დაუშვა. შეიძლება ხელისუფლება რუსეთის ამ გადაწყვეტილებას დათანხმდეს?

– როგორც დღეს სახელმწიფოს კომპეტენტურმა ორგანოებმა განმარტეს, ამ საკითხზე მიმართვა 2020 წელსაა გაგზავნილი. მას შემდეგ მოლაპარაკება არ გამართულა. ხელისუფლების მხრიდან ბიზნესის არეალის გაფართოვების მცდელობა ჩვეულებრივი ამბავია. რუსეთმა გადაწყვეტილება ახლა მიიღო.

– საქართველოს ხელისუფლებამ ახლა რა უნდა ქნას?

– ხელისუფლებამ უნდა იმსჯელოს და გადაწყვეტილება მიიღოს. რუსეთის ბაზრისთვის ქართული რძის პროდუქტებით უზრუნველყოფა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი არ არის. რუსეთს ბევრად მეტი რესურსი და პოტენციალი აქვს, თვითონ უზრუნველყოს თავისი ბაზარი. ზუსტად ისე, როგორც ბელორუსმა. ეს არც ახალი ამბავია და არც დასამალი. ერთი პატარა გადაწყვეტილებით, ხელისუფლების იმიჯი შეიძლება სერიოზულად დაზიანდეს. დარწმუნებული ვარ, ხელისუფლება აქაც სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს.

– რუსეთმა ქართული რძის ნაწარმი რუსულ ბაზარზე დაუშვა. ახლა რუსეთმა საქართველო მტრული ქვეყნების სიიდან ამოიღო. ამის პარალელურად ამბობენ, რომ საქართველოში ბევრი რუსი შემოდის და საწარმოებს არეგისტრირებს. ერთიანობაში რომ შევაფასოთ, რა პროცესთან შეიძლება გვქონდეს საქმე?

– როდესაც ქვეყანაში ომია, ყველა ავტომატით ხელში არ იბრძვის. ადამიანების რაღაც კატეგორია – ბავშვები, მოხუცები – შეიძლება საომარ მდგომარეობას გაერიდოს. ჩვენ რუსეთთან უვიზო მიმოსვლა გვაქვს. გადაწყვეტილება საკაშვილის ხელისუფლების დროს მიიღეს.

– 2010 წელს.

– ახლა ეს ხალხი ლაპარაკობს, რომ რუსეთიდან ადამიანები საქართველოში არ შემოვუშვათ. რბილად რომ ვთქვათ, უხერხულია.

– რატომ არის უხერხული?

– სახელმწიფოს ჰყავს შესაბამისი სამსახურები, თუ აქ ვინმე რაიმე ანტისახელმწიფოებრივ მოქმედებებს დააპირებს, მით უფრო, თუ ჩაიდენს, მაშინ სახელმწიფომ უნდა იმოქმედოს. არასწორი იქნება წინასწარი ქმედებები იმ მიზნით, რომ რუსეთის მოქალაქეა და ქვეყანაში არავინ შემოვუშვათ. ამას ის ადამიანები აპროტესტებენ, რომლებიც პარლამენტის ტრიბუნიდან ამბობდნენ, ფულს სუნი და წარმომავლობა არ აქვს, რუსული იქნება თუ ამერიკული, მნიშვნელობა არ აქვსო. ამას ამბობდა მაშინდელი პრეზიდენტი, მაშინდელი პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი და დეპუტატები. ყველაფერი გვახსოვს, გონება კი არ გვაქვს წართმეული.

ისინი იმ ხელისუფლების წარმომადგენლები არიან, რომლებიც, როგორც კი ხელისუფლებაში მოვიდნენ, ბიზნესის პირველი საერთაშორისო ფორუმი რუს ბიზნესმენებთან მოაწყვეს და რუსული ბიზნესის ერთ-ერთი წარმომადგენელი, რუსეთის ხელისუფლებისაგან რეკომენდირებული, ბატონი ბენდუქიძე საქართველოს ეკონომიკის მინისტრად ჩამოიყვანეს, რომ რუსეთთან ურთიერთობა აეწყო და დაელაგებინა.

– ბენდუქიძის ჩამოყვანა რატომ გაგიკვირდათ, აქ საკაშვილიც ხომ ივანოვმა დასვა?

– ამიტომ გეუბნებით, ჩვენ ყველაფერი გვახსოვს-მეთქი. ივანოვი ჩამოვიდა და პროცესები ისე წაიყვანა, რომ საკაშვილი პრეზიდენტი გამხდარიყო. ფაქტია, ივანოვის ვიზიტის შემდეგ საკაშვილი პრეზიდენტი გახდა და ასევე, ივანოვის ვიზიტის შემდეგ ასლან აბაშიძეს აჭარა დაატოვებინეს.

კრიტიკას ვერ მივიღებთ იმ ხელისუფლების წარმომადგენლებისგან, რომლებმაც, რუსეთის მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების აქტიური ჩარევით, გამიზნული სიკეთეები მიიღეს, რაც შემდეგ ქვეყანას უბედურებად დაატყდა თავს,

მარტო ნაცმოძრაობა არ გვაკრიტიკებს, დანარჩენი ოპოზიციაც, მათთან აფინირებულია და ერთი ადამიანის, საპატიმრო დაწესებულებაში მყოფი მიხეილ საკაშვილისაგან იმართება.

– ყველაფერი დაიწყო პრემიერის განცხადებით, რუსეთს სანქციებს ვერ დავუწესებთო. რეალურად, ყირიმის ანექსიის შემდეგ, 2014 წლიდან გარკვეულ სანქციებზე საქართველო ისედაც მიერთებულია. ასე პირდაპირ რატომ ამბობს პრემიერი, სანქციებს ვერ დავაწესებთო, როდესაც ჩვენ, რეალურად, რუსეთთან სანქციების რეჟიმში ვართ?

– ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩვენ დღეს რუსეთის სახელმწიფოსთან საომარ მდგომარეობაში ვართ. რეალობა ესაა. ვაკეში, დიღომსა და ავლაბარში ბომბები რომ არ ცვივა, იმას არ ნიშნავს, პრობლემა არ არის. ჩვენ საომარ მდგომარეობაში ვართ. ვის სჭირდება დღეს საქართველოში ისევ ცეცხლის გახსნა?

– ვის სჭირდება?

– დღეს ცეცხლის გახსნა იმ ადამიანებს სჭირდება, ვინც ფიქრობს, რომ საქართველოს ხელისუფლებაში მხოლოდ არეულობის ფონზე თუ მოვლენ. ამის დაშვება არ შეიძლება. პრემიერ-მინისტრის ნათქვამი რეალურად იმას ნიშნავდა, რომ ხელისუფლება საქართველოში საომარი მოქმედებების განახლებას არ დაუშვებს. ამაში გაუგებარი რა არის?!

ანუ ჩვენ რა უნდა ვქნათ? ისე უნდა მოვიქცეთ, დედაქალაქიდან 30 კილომეტრში ტანკები რომ დგას, ნახევარ საათში თბილისში იყვნენ? ხელისუფლება ასე არ უნდა მოიქცეს.

– მაშინ ამას რატომ ვერ იგებს გარკვეული ძალა, რომელიც რაღაც ინფორმაციებს აწვდის უკრაინულ მხარეს, იქიდან კი საყვედურები გვესმის?

– ამ ძალის ხელისუფლებაში დაბრუნების ერთადერთი გზა საქართველოში არეულობაა. მერე რომელი „ივანოვი ჩამოფრინდება“, კაცმა არ იცის. ამიტომ ჩვენს ხელისუფლებას ძალიან სერიოზული, აწონილ-დაწონილი მოქმედებები სჭირდება. არჩევნების გზით ნაცები ხელისუფლებაში რომ ვეღარასოდეს დაბრუნდებიან, კარგად იციან. ამიტომ ახლა ცდილობენ, რაღაც სიტუაციას მოასხდნენ და ამ გზით ხელისუფლებაში დაბრუნდნენ.

მდგომარეობა კატასტროფულად იცვლება. უკვე მოლდოვამ განაცხადა, რომ ისინი უარს ამბობენ ნატოში გაწევრიანებაზე.

– მოლდოვას ისედაც ნეიტრალიტეტი ჰქონდა გამოცხადებული, რაც კონსტიტუციაშიც ეწერა.

– გასაგებია, მაგრამ უკრაინა დღეს უკვე აცხადებს, რომ მზად არიან ნეიტრალიტეტის საკითხი განიხილონ. იგივე არახამიამ, რომელიც მმართველი პოლიტიკური ძალის წარმომადგენელია, თქვა, რომ ისინი ნატოსკენ არ ისწრაფვიან.

– არახამიამ თქვა, ნატოში გაერთიანებისთვის 5-10 წელი ვერ მოვიცდით, სხვა კავშირებს მოვძებნით, ვთქვათ, იგივე ამერიკასა და სხვა ქვეყნებთანო.

– პოლიტიკურად „5-10 წელი“ სხვადასხვანაირად შეიძლება გავიგოთ. მან თქვა, 5-10 წელი ნატოზე ვერ ვილაპარაკებთო. მსოფლიო უსაშინლეს ომსაა შეჯახებული. ცივილიზებული საზოგადოება ადეკვატურ გადაწყვეტილებებს თუ არ მიიღებს, შეიძლება, მსოფლიოში გამოუსწორებელი უბედურებები დატრიალდეს. ერთი ადამიანის სიცოცხლე ხელისუფლებად და არც ხელისუფლებაში დაბრუნებად არ ღირს.

უკრაინის მიწაზე ადამიანები ყოველდღე იღუპებიან – ბავშვები, მოხუცები. დაკვირდით პრეზიდენტ ზელენსკის გამოსვლების სიმწვავეს. ის ევროპული ქვეყნების ლიდერებს, ნატოს პირდაპირ საყვედურობს. მეტი რა გააკეთოს. ასეთ მოცემულობაში ვართ. ეს არის ამ საკითხის მთელი სენსიტიურობა.

ჩვენ არ ვიცით, ხვალ რა მოხდება. საქმე კარგისკენ რომ არ მიდის, ალბათ, დამერწმუნებით. ხელისუფლებას აქვს ვალდებულება, ქვეყანაში სიმშვიდე შეინარჩუნოს და მშვიდობა იყოს.

– უკრაინაში ომი რომ დაიწყო, შიგნით გამოჩნდნენ დივერსიული ჯგუფები, რომლებიც, როგორც ჩანს, რუსეთს წინასწარ ჰყავდა შეგზავნილი. ამიტომ საქართველოში რუსეთის მოქალაქეების მომრავლება გარკვეული სამსახურების ყურადღებას არ იმსახურებს?

– ვინმეს ხომ არ ჰგონია, რომ ადამიანებს საზღვარზე პირდაპირ უშვებენ. სასაზღვრო კონტროლია. ადამიანებს საზღვარზე ამოწმებენ. თავიდან ბოლომდე ყველაფრის შემოწმება ხდება, რის საშუალებას 21-ე საუკუნეში ტექნოლოგიები გვაძლევს. დამერწმუნეთ, ტექნოლოგიები 21-ე საუკუნეში ძალიან ბევრის საშუალებას იძლევა.

საქართველოში მომავალი ადამიანები საზღვარზეც კონტროლდებიან და ადგილზეც. სპეცსამსახურებს ძალიან სერიოზული კონტინგენტი ჰყავს. მათ შორის, აგენტურული ქსელი აქვს. ეს დასამალი არ არის. რატომ ჰგონიათ, რომ იმ ადამიანებს, რომლებიც კითხვის ნიშნის ქვეშ არიან (კარგი გაგებით), არ აკვირდებიან. თუ ვინმე რამე გადაცდომას ჩაიდენს, კანონი იმოქმედებს.

რა გეოპოლიტიკურ ძვრებს ახდენს ომი უკრაინაში

მარიამ მჭედლიშვილი

რუსეთის თავდასხმამ უკრაინაზე და იქ მიმდინარე სისხლიანმა მოვლენებმა გავლენა მოახდინა არამარტო მსოფლიო ეკონომიკაზე. ანალიტიკოსები ხედავენ რეგიონსა და მსოფლიოში დაწყებულ გეოპოლიტიკურ ძვრებს.

ბევრი ექსპერტი პროგნოზირებს რუსეთის საგრძნობ დასუსტებას, რაც ბუნებრივია რუსეთისთვის დაწესებული უპრეცედენტო სანქციების ფონზე. რუსეთში იმის მოლოდინი აქვთ, რომ უკრაინაში სამხედრო ოპერაციის დამთავრების შემდეგ მოსკოვი ახლებურ ურთიერთობას დაამყარებს აშშ-სა და ევროკავშირთან.

პუტინის მიერ ლუგანსკისა და დონეცკის რესპუბლიკების „დამოუკიდებლობის“ აღიარებამ, შემდეგ კი უკრაინაში შეჭრამ შეკრა დასავლეთი. პუტინთან ერთად დგომას უკვე ერიდებიან მისი ყოფილი მხარდამჭერები, მაგალითად, უნგრეთის, სერბეთის, ხორვატიის პრეზიდენტები.

თავის დამოკიდებულებას კრემლისადმი გადახედეს დასავლეთის იმ სახელმწიფოებმაც, რომლებიც ეკონომიკურად თუ ენერგეტიკულად რუსეთზე არიან მიბმული.

ენერგეტიკა და ენერგომატარებლები, ჯერჯერობით, არის ის სფერო, რომელიც მსოფლიომ რუსეთის საწინააღმდეგო სანქციებში ვერ მოაქცია. გაზისა და ნავთობის ფასები კოლოსალურად გაიზარდა. ევროპაში აქტიურად მუშაობენ რუსული გაზის ჩანაცვლებაზე. ეს უახლოეს ხანში ვერ მოხდება.

– კომპანიები გერმანიიდან აგრძელებენ ბიზნესს რუსეთთან ენერგომატარებლების მოწოდების დარგში, – აცხადებს გერმანიის კანცლერი ოლაფ შოლცი.

მისი თქმით, გერმანიის ხელისუფლება პარტნიორებთან ერთად ეძებს რუსეთის ენერგომატარებლების ალტერნატივას. თუმცა, ამის მიღწევა ერთ საათში შეუძლებელია.

დასავლელი ანალიტიკოსები საუბრობენ რუსეთის აგრესიის გამო გერმანიის ფედერაციაში მომხდარ უდიდეს ძვრებზე. მათი დასკვნით, პუტინმა უნებლიეთ მოახდინა რევოლუცია გერმანიაში. შეიცვალა ქვეყნის საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა. თებერვლის დასაწყისში შოლცი გამოვიდა ბუნდესტაგის წინაშე და განაცხადა, რომ გერმანია უნდა გაიზარდოს. მას მხედველობაში ჰქონდა პოლიტიკის შეცვლა რუსეთის მიმართ. ეს პოლიტიკა დამყარებული იყო ეკონომიკურ თანამშრომლობაზე. შოლცმა განაცხადა, რომ რუსულ გაზს ალტერნატივა უნდა მოუძებნონ.

კანცლერმა ასევე ისაუბრა იმაზე, რომ გერმანია გაზრდის თავდაცვის ხარჯებს. მთავრობა წელს გამოყოფს დამატებით 100 მილიარდ ევროს შეიარაღებული ძალებისათვის. შემდგომში თავდაცვის ბიუჯეტი გახდება მშპ-ს 2%.

შოლცის განცხადებით, გერმანია მკვეთრად ზრდის თავის სამხედრო ყოფნას აღმოსავლეთ ევროპაში (არა მხოლოდ ევროკავშირისა და ნატოს წევრ ქვეყნებში, არამედ, უკრაინაშიც). რაც მთავარია, გერმანიამ შეცვალა თავისი შეზღუდვები და უკრაინას მიაწოდა სერიოზული შეიარაღება.

დასავლელი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ გერმანიამ ამ და სხვა ნაბიჯებით მკვეთრად გაზარდა საკუთარი პოლიტიკური და სამხედრო გავლენა. გერმანია ხდება ძლიერი სახელმწიფო მძლავრი თავდაცვით, თანამედროვე ავიაციით და თავისი ყოფნით აღმოსავლეთ ევროპაში. ეს გერმანიის კანცლერს ევროპის ლიდერად აქცევს.

ამჟამად უკრაინაში შეჭრილ რუსეთს ეკონომიკური დარტყმების გარდა, მძიმე დიპლომატიური გამოწვევებიც დაუდგა. გაეროში პერსონა ნონ გრატად გამოცხადებული რუსეთის დელეგაცია მოსკოვს დაუბრუნდა.

ექსპერტები ასკვნიან, რომ უკრაინის მოვლენები მსოფლიოში ბევრ რამეს ცვლის. ზოგიერთი შენიშნავს, რომ ჩინეთი ელის უკრაინის მოვლენების დამთავრებას, რათა შემდეგ ტაივანის პრობლემას მიხედოს.

არის მოსაზრება, რომ ბოლო ხანს მსოფლიოში რიტუალის დიპლომატია უკანა მხარეს გადადის, წინ იწევს სწრაფი და ქმედითი ზომები.

იმედია, მსოფლიოში საერთაშორისო ნორმების პრიორიტეტი გაიმარჯვებს და ყველა დამნაშავე დაისჯება.

შანაი ბრუკის ძმა: „ჩემი დის მკვლელისთვის უვადო პატიმრობას ვითხოვთ“

ავსტრალიის მოქალაქის, შანაი ბრუკი ედვარდსის, ოჯახი მკვლელობაში ბრალდებულის, რაფაელ მურსაკულოვის, ბოდიშს არ იღებს და სასამართლოსგან მის უმკაცრესად დასჯას ითხოვს.

აღნიშნულის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ მოკლულის ძმამ, ტაისონ ედვარდსმა, ექსკლუზიურად განუცხადა.

როგორც ტაისონ ედვარდსი აცხადებს, ბრალდებულმა დანაშაული მას შემდეგ აღიარა, რაც ის, ფაქტობრივად, კუთხეში მიიმწყვდიეს, როცა სხვა გამოსავალი არ ჰქონდა და ყველა მტკიცებულება მის წინააღმდეგ მეტყველებდა.

შანაი ბრუკი ედვარდსის ძმა აცხადებს, რომ ბრალდებულის ბოდიშს ოჯახი არ იღებს. ედვარდსის თქმით, ისინი სასამართლოსგან რაფაელ მურსაკულოვის უმკაცრეს დასჯას და უვადო პატიმრობის გამოყენებას ითხოვენ, რათა „გარეთ მკვლელები არ დადიოდნენ და შანაის ბედი სხვებმაც არ გაიზიარონ“.

ტაისონ ედვარდსი სპეციალურად ლონდონიდან საქართველოში დის მკვლელობაში ბრალდებულის განაჩენზე დასასწრებად გუშინ, 8 მარტს, დილით ჩამოფრინდა.

თბილისის საქალაქო სასამართლო შანაი ბრუკი ედვარდსის მკვლელობის საქმეზე განაჩენს 9 მარტს გამოაცხადებს.

ბრალდებულმა რაფაელ მურსაკულოვმა გასულ სხდომაზე საბოლოო სიტყვით ისარგებლა და მოკლულის ოჯახს ბოდიში მოუხადა.

– არ ვარ ასეთი ადამიანი და არ ვყოფილვარ ასეთი ადამიანი, მე ჩემი თავი იმ დღეს ვერ გავაჩერე, ალბათ, იმ დღეს, ჩემში, ღმერთზე მეტი, ეშმაკი იყო, როცა ამ ქვეყნის შვილი ხარ, ასე არ უნდა შეგეშალოს და მე შემეშალა. არ ვიცი, რა მოხდა, მაგრამ მოხდა. მე ამ ქვეყანას, ხალხს ვუხდი ბოდიშს, იმ ადამიანის ოჯახს ვუხდი ბოდიშს, ეს არის დანაკლისი, რასაც ვერ ავანაზღაურებ. უბრალოდ, მაპატიეთ. რაც არ უნდა გამოიტანოთ განაჩენი, ხმას არ ამოვიღებ, არ გავასაჩივრებ, – განაცხადა მურსაკულოვმა.

სახელმწიფო ბრალდების განმარტებით, შანაი ბრუკ ედვარდს დანით 13 ჭრილობა

ჰქონდა მიყენებული, მათგან 5 ყელის არეში, რაც მკვლელობის განზრახვას ამყარებს. პროკურორი გიორგი ქობულაძე განმარტავს, რომ მკვლელობის ჩადენის შემდეგ რაფაელ მურსაკულოვმა ცხედარი გადამალა, ფოთლები დააყარა და მის დაწვას გეგმავდა. ქობულაძის თქმითვე, დანაშაულის ჩადენის მომენტში ბრალდებული შერაცხადი იყო და ის სრულად აცნობიერებდა იმას, თუ რას სჩადიოდა.

ცნობისთვის, ავსტრალიის მოქალაქე შანაი ბრუკი ედვარდსი გასული წლის 30 ივლისს გაუჩინარდა. ახალგაზრდა ქალის ცხედარი მთაწმინდის ფერდზე 31 ივლისს იპოვეს. აღნიშნულთან დაკავშირებით სამართალდამცავებმა რაფაელ მურსაკულოვი დააკავეს.

მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის პირველი ნაწილით წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 16 წლიდან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურორი გურული: „გიგი უგულავამ საბოლოო სიტყვაში ფაქტობრივად აღიარა ძალადობა“

– გიგი უგულავამ საბოლოო სიტყვაში ფაქტობრივად აღიარა ძალადობა და ცდილობდა ძალადობის გამართლებას.

ამის შესახებ ოპოზიციონერი ლიდერის გიგი უგულავას საქმის პროკურორმა ნათია გურულმა 7 მარტს განაცხადა.

როგორც ის განმარტავს, ბრალდების მხარეს გამამტყუნებელი განაჩენის მოლოდინი აქვს.

– მტკიცებულებების გამოკვლევა დასრულდა ბრალდებულ გიორგი უგულავას სისხლის სამართლის საქმეზე. დაცვის მხარის დასკვნითი სიტყვა მოვისმინეთ, ასევე ბრალდებულის საბოლოო სიტყვა. სასამართლო შეაფასებს მტკიცებულებებს და საბოლოო გადაწყვეტილებას 9 მარტს გამოგვიცხადებს.

რაც შეეხება ბრალდებულის პოზიციას, მან საბოლოო სიტყვაში ფაქტობრივად აღიარა ძალადობა და ცდილობდა ძალადობის გამართლებას. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად არის წარმოდგენილი და დადასტურებული, რომ ფიზიკური ძალადობის ინიციატორი იყო გიორგი უგულავა და მან განახორციელა ძალადობა დაზარალებულის მიმართ. ბრალდების მხარეს გონივრული მოლოდინი აქვს, რომ სასამართლო გამამტყუნებელ განაჩენს გამოიტანს, – განაცხადა ნათია გურულმა.

პროკურორი შაიშმელაშვილი: „ბრალდებულმა კავილაძემ არასწორი ინფორმაცია მოგვაწოდა“

– ბრალდებულმა გარკვევით თქვა, ის რომ შესწრებოდა ნიკოლოზ კვარაცხელიას მკვლელობას თუნდაც სხვა პირის მიერ, ის არც იმ შემთხვევაში განაცხადებდა პოლიციაში და არ ითანამშრომლებდა გამოძიებასთან.

ამის შესახებ ნიკოლოზ კვარაცხელიას მკვლელობის საქმის პროკურორმა გია შაიშმელაშვილმა განაცხადა.

7 მარტის სასამართლო პროცესზე ერთ-ერთი ბრალდებულის, გიორგი კავილაძის, დაკითხვა დასრულდა. პროკურორის თქმით, მან სასამართლოს არასწორი ინფორმაცია მიაწოდა.

– სასამართლო პროცესზე კვლავ გაგრძელდა სიცრუის ტირაჟირება, რასაც ბრალდებული ახდენდა, შესაბამისად, მან სასამართლოს არასწორი ინფორმაცია მიაწოდა კონკრეტულ ფაქტებთან დაკავშირებით, მან მხოლოდ ის დაადასტურა, რომ შეესწრო მკვლელობის ფაქტს და მასთან რაიმე ფორმით კავშირის ქონა უარყო.

ბრალდებულმა გარკვევით თქვა, ის რომ შესწრებოდა ნიკოლოზ კვარაცხელიას მკვლელობას თუნდაც სხვა პირის მიერ, ის არც იმ შემთხვევაში განაცხადებდა პოლიციაში და არ

ითანამშრომლებდა გამოძიებასთან. ეს მეტყველებს ბრალდებულის მენტალურ დამოკიდებულებაზე თუნდაც კონკრეტულ ფაქტთან – ახალგაზრდა ბიჭის მკვლელობასთან დაკავშირებით, – განაცხადა შაიშმელაშვილმა.

რაც შეეხება მკვლელობის მოტივს, როგორც პროკურორი აღნიშნავს, მეორე ბრალდებულის ჩვენებასაც უნდა დაველოდოთ.

ქეთა ციტაიშვილი: „მამაჩემს ყოფილი თანამშრომლის ძმამ 7 ტყვია ესროლა“

„ფეისბუქ-კომენტარის გამო, გუშინ საღამოს, მამაჩემს სახლში შეუვარდა ყოფილი თანამშრომლის ძმა, იარაღით, 7 ტყვია ისროლა. ახლა გამოძიება მიმდინარეობს განზრახ მკვლელობის მუხლით“ – ამის შესახებ სოციალურ ქსელში ქეთა ციტაიშვილი წერს.

„მეგობრებო, გუშინ მე და ჩემი ოჯახი რაღაც მძაფრსიუჟეტიან თრილერში მოვხვდით. დეტალურად უნდა მოგიყვეთ ყველაფერი, რომ ქოცების სახე კიდევ უფრო კარგად დაინახოთ.

ჩემი ოჯახის ოპოზიციური განწყობა ყველამ იცით...– მამაჩემიც, სოციალურ მედიაში, ღიად აფიქსირებს ხოლმე თავის აზრს.

მამაჩემი ტელევიზიაში მუშაობდა და ცოტა ხნის წინ მისი ერთ-ერთი ყოფილი თანამშრომლის პოსტზე დაუწერია კომენტარი, ზუსტი ციტატა არ მახსოვს, მაგრამ შინაარსით ასეთი იყო: ადრე მიშას რა სიუჟეტებსაც უკეთებდი, ახლა იგივეს ქოცებს უკეთებ, „გადაპორტირებული“ ნაცი ხარ, ქოცებშიო.

და აი აქ იწყება დაუჯერებელი ამბავი.

ამ კომენტარის გამო, გუშინ საღამოს, მამაჩემს სახლში შეუვარდა ყოფილი თანამშრომლის ძმა, იარაღით, 7 ტყვია ისროლა (საბედნიეროდ, 2 მილიმეტრიანი დაშორებით აცდა ტყვიები მამაჩემს, კარგად არის). ახლა გამოძიება მიმდინარეობს, განზრახ მკვლელობის მუხლით. ჯერ-ჯერობით პასუხისგებაში არავინ არ არის.

ახლა თქვენ მითხარით, როგორი სიტყვის თავისუფლება მოგვიტანა ბიძინამ? ღიად თუ ჩემი აზრი დავაფიქსირე, სახლში მივარდებიან იარაღით ჩასაცხრილად და აზრის გამოხატვა თუ მომინდება, სასწორზე ჩემი სიცოცხლე უნდა დავდო????“ – წერს ქეთა ციტაიშვილი.

ნათია მეზვრიშვილი: „თითქმის 7-თვიანი უკანონო პატიმრობის შემდეგ აკაკი ბართაია თავისუფალია“

პარტია „საქართველოსთვის“ მხარდამჭერი აკაკი ბართაია გაათავისუფლეს.

ამის შესახებ პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ნათია მეზვრიშვილი სოციალურ ქსელში წერს.

მისი თქმით, აკაკი ბართაია თითქმის 7 თვე უკანონო პატიმრობაში იმყოფებოდა.

„აკაკი ბართაია თავისუფალია! თითქმის 7-თვიანი უკანონო პატიმრობის შემდეგ მოსამართლემ მიიღო პატიმრობიდან მისი გათავისუფლების გადაწყვეტილება.

აკაკი ბართაია დააკავეს და პატიმრობაში იმყოფებოდა პოლიტიკური ნიშნით, პარტია „საქართველოსთვის“ აქტიური მხარდაჭერის გამო.

მისი საქმე სავსეა დაუშვებელი და კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებებით. ამ გამარჯვების შემდეგ მის საქმეზე ველოდებით მხოლოდ გამამართლებელ განაჩენს! მადლობა ადვოკატებს, სახალხო დამცველს და ყველას, ვინა მის გათავისუფლებაში წვლილი შეიტანა“ – წერს ნათია მეზვრიშვილი.

ცნობისთვის, აკაკი ბართაია აგვისტოში დააკავეს.

პარტია „საქართველოსთვის“ ინფორმაციით, მას „იარაღი ჩაუდეს“.

რუსთავში მანქანა ბაღის აღსაზრდელის მშობელს დაეჯახა

რუსთავში მსუბუქი ავტომობილი ქვეითს დაეჯახა.

„ინფო რუსთავი“-ს ინფორმაციით, ავტოსაგზაო შემთხვევა მე-17-მკრ-ში, №40 საბავშვო ბაგა-ბაღთან მოხდა.

ავტომობილი ფეხით მოსიარულე ქალს, ბაღის ერთ-ერთი აღსაზრდელის მშობელს დაეჯახა.

დაშავებული სასწრაფო სამედიცინო დახმარების მიერ კლინიკაში იქნა გადაყვანილი.

მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

ხულოში „ალტ ინფოს“ ოფისი დაატოვებინეს

„ალტ-ინფოს“ მიერ დაფუძნებულ პარტიას „კონსერვატიული მოძრაობა“ ხულოში პარტიის ოფისი დაატოვებინეს.

როგორც ხულოს მცხოვრებლები სოციალურ ქსელებში წერდნენ, პარტიამ ოფისი 7 მარტს გახსნა, თუმცა პარტიის წარმომადგენლებს ფართობის მესაკუთრე დაუკავშირდა და ოფისის დაცლა მოსთხოვა.

– თავიდან არ ვიცოდი, ვინ ქირაობდა ფართობს, მაგრამ შემდეგ გავიგე, ვინც იყვნენ და მოვთხოვე ოფისის დაცლა, – თქვა ფართობის მესაკუთრემ, დათო სოლომონიძემ.

დათო სოლომონიძე ამბობს, რომ მისთვის „კონსერვატიული მოძრაობის“ იდეოლოგია მიუღებელია.

– ჩემთვის მიუღებელია ამ პარტიის პოლიტიკური იდეოლოგიაც და რელიგიური ნიშნით ადამიანების დისკრიმინაცია. ისინი შეურაცხყოფას აყენებენ მუსლიმ ქართველებს, მე არც თათარი ვარ და არც ურწმუნო, როგორც ისინი მოიხსენიებენ ხოლმე ქართველ მუსლიმებს. ასეთი შეხედულებების პარტიას ფართობს არ დავუთმობ, – ამბობს დათო სოლომონიძე.

მისი თქმით, „კონსერვატიულ პარტიას“ ხულოში პარტიის ოფისი 1.500 ლარად ჰქონდა დაქირავებული.

„ალტ-ინფო“, რომელიც თავს უწოდებს ალტერნატიული ინფორმაციის წყაროს, მედიამონიტორების შეფასებით, „ანტილიბერალურ, ანტისაიმიგრაციო, ლგბტქი თემის საწინააღმდეგო და ანტიდასავლურ პროპაგანდას ეწევა“.

2022, 9 მარტი, №48

ბორის ჯონსონი: „პუტინის აგრესია უნდა ჩავარდეს“

– ჩვენ ვერ ვისწავლეთ რუსული აგრესიის გაკვეთილები. ძალიან დიდი ხანია, მეორე ლოყა მივუშვირეთ. ვერავინ იტყვის, რომ არ გაგვაფრთხილეს.

ამის შესახებ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ბორის ჯონსონმა „ნიუ-იორკ თაიმსთან“ ინტერვიუში განაცხადა.

ჯონსონის თქმით, უკრაინაზე რუსეთის მხრიდან თავდასხმა დაიწყო შეთხზული საბაბით. მისი თქმით, პუტინი „კიდევ უფრო იძირება, ომის დანაშაულებსა და მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ წარმოუდგენელი ძალადობის საშინელ კამპანიაში“.

– გასული კვირის განმავლობაში, უკრაინაში მწვავე სცენების საპასუხოდ, დასავლეთის ერთიანობა შთამბეჭდავი და გამამხნევებელი იყო. პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკისთან ჩემი თითქმის ყოველდღიური საუბრებიდან ვიცი, რომ ამან უკრაინელებს გარკვეული კომფორტი მისცა გაჭირვების დროს. ჩემს ცხოვრებაში არასოდეს მინახავს საერთაშორისო კრიზისი, რომლის დროსაც, რუსული ომის მანქანა თავის რისხვას ამაყ დემოკრატიაზე ავრცელებს და სადაც გამყოფი ხაზი ბოროტსა და კეთილს შორის ასეთი მკაფიოა. მილიონზე მეტი ადამიანი გაიქცა ძალადობისგან, გაურკვეველი მომავლისკენ.

პრეზიდენტმა ბაიდენმა გამოიჩინა დიდი ლიდერობა, იყო კონსულტაციები, მოკავშირეების მოწვევა. ევროკავშირმა მნიშვნელოვანი ძალისხმევა გაიღო. ევროპის ათობით ქვეყანა უკრაინის შეიარაღებულ ძალებს თავდაცვით აღჭურვილობას უგზავნის, მაგრამ საკმარისი გავაკეთეთ უკრაინისთვის?

გულწრფელი პასუხი არის – არა. ვლადიმერ პუტინის აგრესია უნდა ჩავარდეს და ჩაითვალოს წარუმატებლად. პუტინი ცდილობს, გაანადგუროს საერთაშორისო ურთიერთობების საფუძვლები და გაეროს წესდება: ერების უფლება, გადაწყვიტონ საკუთარი მომავალი. მისი თავდასხმა უკრაინაზე დაიწყო შეთხზული საბაბით და საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევით. ის კიდევ უფრო იძირება, ომის დანაშაულებსა და მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ წარმოუდგენელი ძალადობის საშინელ კამპანიაში.

ჩვენ ვერ ვისწავლეთ რუსული აგრესიის გაკვეთილები. ძალიან დიდი ხანია, მეორე ლოყა მივუშვირეთ. ვერავინ იტყვის, რომ არ გაგვაფრთხილეს: ჩვენ ვნახეთ, რა გააკეთა რუსეთმა საქართველოში 2008 წელს, უკრაინაში 2014 წელს და თუნდაც სოლსბერის ქუჩებში. ჩემს ბოლო ვიზიტებზე, პოლონეთსა და ესტონეთში, ჩემს კოლეგებთან საუბრისას, მე ვიცი, რამდენად მწვავედ გრძნობენ ისინი საფრთხეს, – განაცხადა ბორის ჯონსონმა.

აშშ ევროპაში დამატებით 500 ჯარისკაცს გაგზავნის

ამერიკის სამხედრო ძალების 500 ჯარისკაცი ევროპაში გაემგზავრება.

აშშ-ის თავდაცვის მდივანმა ლოიდ ოსტინმა ნატოს მოკავშირეების შემდგომი მხარდაჭერის მიზნით, ჯარისკაცებისა და სამხედრო აქტივების ევროპაში განლაგების ბრძანება გასცა.

საჰაერო მხარდაჭერის ოპერატიული ცენტრი განლაგდება პოლონეთსა და რუმინეთში.

ამჟამად, აშშ-ს დაახლოებით 100.000 ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე ჰყავს ევროპის სხვადასხვა ნაწილში განთავსებული.

იაპონიამ რუს და ბელარუს ოლიგარქებს აქტივები გაუყინა

იაპონიის ფინანსთა სამინისტროს განცხადებით, ქვეყანამ კიდევ 32 რუს და ბელარუს ჩინოვნიკსა და ოლიგარქს აქტივები გაუყინა.

სამინისტროს ინფორმაციით, იაპონია ასევე კრძალავს ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის აღჭურვილობის ექსპორტს რუსეთში.

შეგახსენებთ, უკრაინაში რუსეთის შეჭრის ფონზე იაპონურმა კომპანია „ტოიოტამ“ სანკტ-პეტერბურგში მდებარე ქარხანაში წარმოება შეაჩერა. „ნისანი“, „სუბარუ“ და „მიცუბიშ მოტორსი“ ასევე ემზადებიან რუსეთიდან საკუთარი თანამშრომლების გასაყვანად.

რუსეთი ევროპისთვის გაზის მიწოდების შეწყვეტით იმუქრება

ორშაბათს რუსეთმა გამაფრთხილებელი განცხადება გააკეთა, რომ შესაძლოა დაკეტოს გერმანიისკენ მიმავალი მთავარი გაზსადენი, თუ დასავლეთი კიდევ უფრო წინ წავა და აკრძალავს რუსულ ნავთობს.

ვიცე-პრემიერმა ალექსანდრე ნოვაკმა თქვა, რომ ასეთი ნაბიჯი გამოიწვევს „კატასტროფულ შედეგებს“ გლობალურ მიწოდებაზე და გააორმაგებს ნავთობის ფასს ბარელზე 300 დოლარამდე.

ევროკავშირი გაზის დაახლოებით 40%-ს და ნავთობის 30%-ს რუსეთიდან იღებს და არ ჰყავს მარტივი შემცვლელი, თუ მიწოდება შეფერხებულია.

ნოვოკმა თქვა, რომ რუსეთს აქვს საპასუხო მოქმედების სრული უფლება და მიუთითა გასულ თვეში გერმანიის გადაწყვეტილებაზე ორ ქვეყანას შორის ნორდ სტრიმ 2-ის მილსადენის სერტიფიცირების დაბლოკვის შესახებ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

საქართველოს პროკურატურამ უკრაინელი ბავშვებისთვის ჰუმანიტარული ტვირთი გაგზავნა

საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებმა უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებების შედეგად დაზარალებული ბავშვების დასახმარებლად, უკრაინაში ჰუმანიტარული ტვირთი გაგზავნეს.

საქართველოს პროკურატურის ინფორმაციით, ბავშვებისთვის ჰუმანიტარული დახმარების საგნების შერჩევა და შეძენა პროკურატურის წარმომადგენლების მიერ უკრაინულ მხარესთან აქტიური კონსულტაციის შედეგად განხორციელდა.

„ჰუმანიტარული ტვირთი სხვადასხვა დახმარების საგნებს, კერძოდ კი – ჩვილი ბავშვის საკვებს, ბავშვის კვების აქსესუარებს, ტანსაცმელს, ჰიგიენურ საშუალებებს და სხვა პირველადი საჭიროების ნივთებს მოიცავს.

საქართველოს პროკურატურა უკრაინელი მოქალაქეების დასახმარებლად მიმდინარე ჰუმანიტარულ აქციაში საკუთარი წვლილის შეტანას მომავალშიც გააგრძელებს“ – აღნიშნავენ პროკურატურაში.

ზესტაფონში შენობის დემონტაჟის დროს 1 ახალგაზრდა დაიღუპა

7 მარტს უბედური შემთხვევა მოხდა ზესტაფონში – კომისარიატის ყოფილი შენობის დემონტაჟის დროს 1 ახალგაზრდა დაიღუპა და 2 დაშავდა.

მომხდართან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

ფიფამ უკრაინას ფეხბურთი გადაუდო

ფიფამ შოტლანდია-უკრაინის მატჩის გადადება გადაწყვიტა. შოტლანდიისა და უკრაინის ნაკრებებს მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის პლეიოფის ეგიდით, 24 მარტს უნდა ეთამაშათ, მაგრამ რუსეთის მიერ დაწყებული სამხედრო აგრესიის შემდეგ, ვითარება შეიცვალა.

მატჩის გადადება უკრაინის ფეხბურთის ფედერაციამ მოითხოვა, რომელმაც ფიფას ოფიციალური წერილით მიმართა. ბრიტანული პრესის ინფორმაციით, შოტლანდია-უკრაინის დაპირისპირება, სავარაუდოდ, ივნისის სანაკრებო პაუზისას გაიმართება.

ბოლო პერიოდში რუსეთის ნაკრების პლეიოფიდან მოკვეთა აქტუალური თემა გახდა და გუშინ დაიწერა, რომ შესაძლოა, მათ პოლონეთთან თამაშის უფლება მისცენ. ამ ინფორმაციას პოლონური გამოცემა ავრცელებს და იუწყება, რომ ფიფა განიხილავს ვარიანტს, რომ რუსეთისა და პოლონეთის მატჩიც ივნისში ჩატარდეს. საინტერესოა, რომ მომხდართან დაკავშირებით, პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, ცეზარი კულეშას კითხვა დაუსვეს და მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილების შეცვლას არ აპირებენ.

რუსული გუნდი რაგბი ევროპის სუპერთასიდან მოკვეთეს

ევროპულ მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, რუსული კლუბი ენისეი, რომელიც რაგბი ევროპის სუპერ თასის ჯგუფურ ეტაპზე შავი ლომის ერთ-ერთი მეტოქე გახლდათ, ფლეი ოფში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

5-5 ტურის შემდეგ, ქართული ფრენჩაიზი შავი ლომი და ენისეი 1-2 ადგილებს იკავებდნენ და ფლეი ოფში თამაში გარანტირებული ჰქონდათ. ბოლო ტურში, მათი დაპირისპირება 30 ოქტომბერს უნდა გამართულიყო, მაგრამ კოვიდ-პანდემიის გამო გადაიდო და იგეგმებოდა, რომ 6 მარტს ჩატარდებოდა, მაგრამ უკრაინაში განვითარებული მოვლენების გამო, ვითარება შეიცვალა.

სპორტულმა სამყარომ რუსული კლუბები და ნაკრებები თავისი ტურნირების მიღმა დატოვა და ამ მხრივ, გამონაკლისი არც რაგბი ყოფილა.

ფლეი ოფში, რომელიც მომდევნო თვეში, პორტუგალიაში გაიმართება, ენისეის თელ ავივის ჰითი ჩაანაცვლებს, რომელიც მასპინძელ ლუზიტანოსს ეთამაშება, ხოლო შავი ლომი ესპანურ იბერიანსს.

ნახევარფინალური შეხვედრები 16 აპრილსაა ჩანიშნული, ფინალი კი 8 მაისს გაიმართება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

პოლონეთში აბელ შამათავა მეუღლემ საწოლში გარდაცვლილი იპოვა

პოლონეთში ზუგდიდის მუნიციპალიტეტ სოფელ დარჩელის მკვიდრი, ახალგაზრდა ბიჭი გარდაიცვალა.

25 წლის აბელ (მუმუ) შამათავა მეუღლემ დილას საწოლში გარდაცვლილი იპოვა.

არსებული ინფორმაციით, ახალგაზრდას პოსტკოვიდური გართულება ჰქონდა და, სავარაუდოდ, გარდაცვალების მიზეზი გულია.

მეზობლების თქმით, ცოლ-ქმარი საქართველოში ჩამოსვლას გეგმავდა.

ჯერჯერობით უცნობია, როდის მოხდება ცხედრის გადმოსვენება საქართველოში.

ახალგაზრდა ცოლ-ქმარი პოლონეთში სამუშაოდ იყო წასული.

სასამართლოში გვარამიას, დამენიასა და იაშვილის საქმეზე სასამართლო პროცესი გაიმართა

7 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოში „მთავარი არხის“ ერთ-ერთი დამფუძნებლის, ნიკა გვარამიას, კახაბერ დამენიასა და ზურაბ იაშვილის საქმეზე სასამართლო პროცესი გაიმართა.

პროცესზე დასკვნითი სიტყვა ნიკა გვარამიას ადვოკატმა დიმიტრი საძაგლიშვილმა წარმოთქვა.

შემდეგ პროცესზე კი ნიკა გვარამია საბოლოო სიტყვას წარმოთქვამს, რის შემდეგაც მხარეები ერთმანეთის რეპლიკებს მოისმენენ.

ცნობისთვის, გენერალურმა პროკურატურამ 2020 წლის 6 სექტემბერს, „რუსთავი 2“-ის საქმეზე ბრალი ნიკა გვარამიას, ასევე „რუსთავი 2“-ის ყოფილ ფინანსურ დირექტორს კახა დამენიასა და „ინტერ მედია პლიუსის“ დირექტორს ზურაბ იაშვილს წაუყენა.

ფეხბურთელებს რუსეთიდან წასვლა თავისუფალი აგენტის სტატუსით შეეძლებათ

ფიფამ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო და რუსეთის პრემიერ-ლიგაში მოთამაშე ლეგიონერებს კლუბებთან კონტრაქტის გაწყვეტის ნება დართო. ფეხბურთელებს უფლება ექნებათ, 10 მარტის შემდეგ კლუბებს დაემშვიდობონ.

უკრაინაში შექმნილი მოვლენების გამო, ფიფამ დროებითი დასაქმებისა და რეგისტრაციის წესები მიიღო.

მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები: იმისთვის, რომ მოთამაშეებს და მწვრთნელებს მუშაობისა და ხელფასის მიღების შესაძლებლობა ჰქონდეთ, ასევე, უკრაინული კლუბების დასაცავად, თუ შესაბამისი კონტრაქტის მხარეები სხვაგვარად ვერ შეთანხმდებიან, უცხოელი ფეხბურთელების და მწვრთნელების ყველა სამუშაო კონტრაქტი უკრაინის კლუბებთან ავტომატურად შეჩერებულად ჩაითვლება უკრაინაში სეზონის ბოლომდე (2022 წლის 30 ივნისი), მხარეთა მხრიდან რაიმე ქმედების საჭიროების გარეშე.

შედეგად, ეს წესი სეზონის დასრულებამდე (30 ივნისამდე) იმოქმედებს. ისინი ჩაითვლებიან თავისუფალ აგენტებად და ახალ კლუბებთან ყოველგვარი ჯარიმის გარეშე შეეძლებათ ხელშეკრულების გაფორმება. ნებისმიერ არარუსულ კლუბს რუსულ პრემიერ-ლიგაში მოთამაშე ლეგიონერის დარეგისტრირება შეეძლება 7 აპრილამდე. თითოეულ კლუბს მხოლოდ 2 ასეთი ფეხბურთელის დამატება შეეძლება. აღსანიშნავია, რომ ფიფას დათქმით, ფეხბურთელებს ამის გაკეთება შეეძლებათ, თუ 10 მარტის ჩათვლით თავიანთ რუსულ კლუბებთან ვერაფერზე შეთანხმდებიან.

კონტრაქტის შეჩერება ზემოაღნიშნული პუნქტების შესაბამისად ნიშნავს, რომ მოთამაშეების და მწვრთნელების კონტრაქტები 2022 წლის 30 ივნისამდე ჩაითვლება ბათილად და, შესაბამისად, ისინი შეძლებენ სხვა კლუბთან ხელშეკრულების გაფორმებას.

წესი მოქმედებს უკრაინის ჩემპიონატში მოთამაშე ლეგიონერ ფეხბურთელებსა და დასაქმებულ მწვრთნელებზეც.

რუსეთის პრემიერლიგაში ამჟამად 120 ლეგიონერი თამაშობს, მათ შორის 6 ქართველი: ხვიჩა კვარაცხელია (რუბინი), ჯიმი ტაბიძე (უფა), ზურიკო დავითაშვილი (არსენალი), გია გრიგალავა (ხიმკი), ლუკა წულუკიძე და ლუკა გაგნიძე (ორივე ურალი).

მორაგბეთა ნაკრები საიუბილეო მატჩისთვის ემზადება

საქართველოს მორაგბეთა ნაკრების სამწვრთნელო შტაბმა 2022 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატის 2 დასკვნითი მატჩისთვის გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა.

ისტორიაში თავის 250-ე ტესტ-მატჩს ჩვენი გუნდი 12 მარტს ბუქარესტში, რუმინეთის წინააღმდეგ გამართავს, 20 მარტს კი, ესპანეთს „დინამო არენაზე“ დაუხვდება.

შეგახსენებთ, შარშანდელთან ერთად, წლევანდელი რაგბი ევროპის ჩემპიონატი 2023 წლის მსოფლიო თასის შესარჩევი ეტაპიცაა.

გუნდს დაუბრუნდნენ ტრავმირებული მორაგბეები – დავით ნინიაშვილი, სანდრო თოდუა, ბექა საღინაძე და ბექა გიგაშვილი. ასევე გამოძახებულთა შორის არიან ბექა გორგაძე და გიორგი კვესელაძე.

სულ გამოძახებულთა შორის 19 მორკინალი და 15 ხაზის მოთამაშეა. მათგან 2-ს – ბურჯ ნიკა აბულაძესა და მესამეხაზელ ლუკა ივანიშვილს დებიუტი ექნებათ.

დანაკლისის და ტრავმიდან დაბრუნებული მოთამაშეების, ასევე მომავალი მეტოქეების შესახებ გუნდის მთავარი მწვრთნელი **ლევან მაისაშვილი** საუბრობს:

– ოთარ გიორგაძეს კოვიდი დაუდასტურდა. ტრავმის გამო გამოგვაკლდა ლუკა ჯაფარიძე და მის ნაცვლად გია ხარაიშვილს ვუხმეთ. პირადი მიზეზების გამო დაგვაკლდება გიორგი მელიქიძე. ტრავმიდან გვიბრუნდებიან ბექა გიგაშვილი და ბექა საღინაძე. ვიმედოვნებ, რომ ისინი სათამაშოდ მზად იქნებიან. ამ კვირაში შიდა ჩემპიონატების თამაშებია და ასევე ვიმედოვნებ, რომ გამოძახებულ მორაგბეთაგან არავინ დაგვაკლდება. ხანგრძლივი ტრავმიდან ბრუნდება სანდრო თოდუა, რომელიც მზად იყო ენისეისთან ეთამაშა, მაგრამ ეს თამაში გაუქმდა და ამ კვირაში კლუბში ითამაშებს. დავით ნინიაშვილმა რუსეთთან თამაშის კვირაშიც ივარჯიშა და იმედია კარგ ფორმაში იქნება.

ვნახეთ ორივე გუნდის თამაში და ისინი საუკეთესოდ არიან მომზადებული. ამას ჩვენთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, გარდა იმისა, რომ უფრო მეტად ყურადღებით უნდა ვიყოთ. ორივე თამაშის მოგებას ვგეგმავთ. ეს არ იქნება იოლი, რადგან ისინი მსოფლიო თასზე მოსახვედრად იბრძვიან. გარდა ამისა, ყველა განსაკუთრებულად ემზადება ჩვენთან თამაშისთვის, რადგან სურთ, რაგბი ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს გამარჯვებების სერია შეწყვიტონ. ეს ყველას კარგად გვესმის და გვაქვს იმედი, რომ ყველაფერი იმ სცენარით წარიმართება, როგორც ჩვენ გვინდა.

საქართველოს ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა ასეთია:

შერკინება: გურამ გოგიჩაშვილი, მიხეილ ნარიაშვილი, ნიკა აბულაძე, ბექა გიგაშვილი, ნიკოლოზ ხატიაშვილი, გია; შალვა მამუკაშვილი, ჯაბა ბრეგვაძე, გიორგი ჭყოიძე; კოტე მიქაუტაძე, ლაშა ჯაიანი, ნოდარ ჭეიშვილი, გრიგორ ქერდიყოშვილი; ბექა გორგაძე, გიორგი ცუცქირიძე, თორნიკე ჯალაღონია, ბექა საღინაძე, ლუკა ივანიშვილი, სანდრო მამამთავრიშვილი;

ხაზი: ვასილ ლობჟანიძე, გელა აფრასიძე, მიხეილ ალანია, თედო აბჟანდაძე, გიორგი ბაბუნაშვილი; მერაბ შარიქაძე, გიორგი კვესელაძე, აკა ტაბუცაძე, დემე თაფლაძე, მირიან მოდებაძე, თორნიკე კახოიძე, სანდრო თოდუა, დავით მესხი, ლაშა ხმალაძე, დავით ნინიაშვილი.

ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

7 მარტი

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ. ᲩᲔᲛᲘᲠᲩᲔᲠᲘᲒᲐ

ტოტენჰემი-ევერტონი 5:0

ᲡᲐᲢᲣᲩᲜᲘᲠᲝ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ:

1.სიტი	28	22	3	3	68-18	69
2.ლივერპული	27	19	6	2	71-20	63
3.ჩელსი	26	15	8	3	53-18	53
4.არსენალი	25	15	3	7	41-29	48
5.მანჩესტერი	28	13	8	7	45-38	47
6.ვესტ ჰემი	28	13	6	9	46-35	45
7.ტოტენჰემი	26	14	3	9	40-32	45
8.ვულვზი	27	12	4	11	24-23	40
9.საუთჰემპტონი	27	8	11	8	34-41	35
10.კრ.პალასი	28	7	12	9	39-38	33
11.ასტონ ვილა	26	10	3	13	37-37	33
12.ლესტერი	25	9	6	10	40-43	33
13.ბრაიტონი	27	7	12	8	26-32	33
14.ნიუკასლი	26	6	10	10	30-46	28
15.ბრენტფორდი	28	7	6	15	30-45	27
16.ლიდსი	27	5	8	14	29-61	23
17.ევერტონი	24	6	4	14	28-46	22
18.ბარნლი	26	3	12	11	22-36	21
19.უოტფორდი	27	5	4	18	27-50	19
20.ნორვიჩი	27	4	5	18	16-58	17

ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

ბილბაო-ლევანტე 3:1

ᲡᲐᲢᲣᲩᲜᲘᲠᲝ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ:

1.რეალი	27	19	6	2	56-21	63
2.სევილია	27	15	10	2	39-18	55
3.ბარსელონა	26	13	9	4	48-29	48
4.ატლეტიკო	27	14	6	7	50-35	48
5.ბეტისი	27	14	4	9	49-35	46
6.სოსიედადი	27	12	8	7	28-29	44
7.ვილიარეალი	27	11	9	7	47-26	42
8.ბილბაო	27	10	10	7	32-26	40
9.ვალენსია	27	9	9	9	41-43	36
10.სელტა	27	9	8	10	33-31	35
11.ოსასუნა	27	9	8	10	26-31	35
12.ესპანიოლი	27	8	8	11	33-40	32
13.რაიო	26	9	4	13	28-32	31
14.ელჩე	27	7	8	12	29-39	29
15.ხეტაფე	27	6	9	12	26-32	27
16.მალიორკა	27	6	8	13	26-45	26
17.გრანადა	27	5	10	12	28-43	25
18.კადისი	27	4	12	11	23-39	24
19.ალავესი	27	5	7	15	21-44	22
20.ლევანტე	27	3	9	15	29-54	18

ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ. ᲡᲔᲒᲣᲜᲓᲐ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

სოსიედადი ბ-ხიხონი 2:1

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲗᲘ. ᲚᲘ�გᲐ Ე

ტულუზა-დიუნკერკი 2:0

ᲞᲝᲠᲢᲣ�გᲐᲚᲘᲐ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲚᲘ�გᲐ

ტონდელა-ბელენენსეში 1:1

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ. ᲡᲣᲞᲔᲠᲚᲘ�გᲐ

ბეშიქთაში-ბაშაქშეჰირი 2:2

გაზიანთები-ჰატაი 2:2

ქაისერი-ალანია 1:2

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ. ᲔᲥᲡᲢᲠᲐᲯᲚᲐᲡᲐ

ლეგია-სლასკი 1:0

ᲓᲐᲜᲘᲐ. ᲡᲣᲞᲔᲠᲚᲘ�გᲐ

ორხუსი-ნორდსიელანდი 2:3

თორნიკე შენგელია ბოლონიის გავლით ბარსელონაში ითამაშებს

საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანი, რომელმაც მოსკოვის ცსკა დატოვა, კარიერას იტალიურ ვირტუს ბოლონიაში გააგრძელებს. იტალიის ერთ-ერთ წამყვან კლუბთან შენგელიამ კონტრაქტი უკვე გააფორმა, რასაც ბოლონიელთა გენერალური დირექტორი, **ლუკა ბარალდი** აღფრთოვანებით გამოეხმაურა:

– სიტყვები არ მყოფნის, როგორ გამოვხატო მადლიერება ჩვენი კლუბის პრეზიდენტის მასიმო ძანეტის მიმართ, რომელმაც ისეთი ვარსკვლავი მოიწვია, როგორიც თორნიკე შენგელიაა. თოკო გუნდის შემადგენლობას კიდევ უფრო გააძლიერებს როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო ასპარეზზე. ასევე უნდა აღვნიშნო გენერალური მენეჯერის პაოლო რონჩის წვლილიც, მან ყველაფერი იღონა, მოლაპარაკებები წარმატებით რომ დასრულებულიყო. შენგელიას სხვა გუნდებიც იწვევდნენ, მაგრამ მან საბოლოოდ ჩვენთან თამაში მოისურვა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს კლუბის მზარდ ავტორიტეტს საერთაშორისო დონეზე.

ვირტუს ბოლონია ულების ევროთასზე გამოდის. 13 ტურის შემდეგ ბოლონიელებს 7 მოგება აქვთ. იტალიის სერია ა-ში კი, ვირტუსს 16 მოგება და 3 მარცხი აქვს და მილანის შემდეგ მე-2 ადგილზეა.

შეგახსენებთ, რომ 2009-12 წლებში ვირტუსში ვიქტორ სანიკიძე გამოდიოდა, რომელიც ბოლონიური გუნდის ლიდერი იყო.

დავუბრუნდეთ შენგელიას, რომელმაც ვირტუსთან კონტრაქტი ახლახან კი გააფორმა, მაგრამ უკვე ვრცელდება ინფორმაცია, რომ მალე ბარსელონაში გადავა. რამდენიმე წყარო წერს, რომ შენგელია იტალიაში 30 ივნისამდე დარჩება, შემდეგ ესპანეთს მიაშურებს და მრავალწლიან კონტრაქტს გააფორმებს.

თორნიკე შენგელია ბოლონიელებს მოსკოვის ცსკა-დან შეუერთდა, სადაც 2020 წლის ზაფხულიდან თამაშობდა. მანამდე კი, ბასკონიაში ირიცხებოდა და ბოლო სეზონში ესპანეთის ჩემპიონიც გახდა. საქართველოს ნაკრების კაპიტანს ვალენსიაში, ბელგიურ შარლერუასა და პეპინსტერში, ასევე ნბა-ში – ბრუკლინ ნეტსსა და ჩიკაგო ბულსში უთამაშია.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ᲢᲔᲚ.: 599-532-690 – 12-ᲓᲐᲜ 17 ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲔ

ᲯᲘᲝᲡᲕᲝᲰᲔᲚᲘ Ბ



შვეულად: 1. უხასიათობა, ცუდი გუნება-განწყობა; 2. ხარისხის აღმნიშვნელი დამღა ოქროს, ვერცხლის ნაკეთობებზე; 3. სვანური ციხე-კოშკი; 4. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 7. უოლტ დისნეის სრულმეტრაჟიანი მულტფილმი; 9. მოცარული დარტყმა ბილიარდში; 12. ქალაქი საფრანგეთში, სადაც განთავსებულია ევროპარლამენტის შტაბბინა; 14. ჯუჯა სახელმწიფო ევროპაში; 15. პირი სამეფო კარზე, რომელიც პირველი სინჯავდა მეფისთვის განკუთვნილ საჭმელს ძველად საქართველოში; 17. სამხაზველო ხელსაწყო; 20. ნიდერლანდიური ყველი.

თარაზულად: 5. კუნძულოვანი სახელმწიფო სპარსეთის ყურეში; 6. ფრანგი სოციოლოგი, ანარქიზმის თეორეტიკოსი; 8. ოდესის ძველი სახელწოდება; 10. მავნებლური ძირგამომთხრელი მოქმედება რაიმე საქმეში; 11. იაპონიის ერთ-ერთი კუნძული; 13. სამწახნაგოვანი პირის მქონე მოკლე იტალიური ხანჯალი; 16. ქუჩაში მოწყობილი სახანძრო ონკანი წყლის ასაღებად; 18. ქვებზე, ხეებზე მზარდი უფესვო, სპოროვანი მცენარე; 19. კუთხე საქართველოში; 21. თავისავე ქონში ჩახრაკული საქონლის გულ-ღვიძლისგან მომზადებული კერძი; 22. სამონასტრო კომპლექსი კახეთში; 23. მეღვინეობის სპეციალისტი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ა

შვეულად: 1. მაკრონი; 2. სალაჰი; 3. კარამელი; 4. სინკლიტი; 7. ბანდერასი; 8. ვატერლოო; 12. ტაშკენტი; 14. ასათიანი; 16. კალანდა; 17. ითხვისი; 19. ზებუ; 20. არია.

თარაზულად: 5. საქსონია; 6. ტრაიდენტი; 9. ხორავა; 10. ჰამამი; 11. იტილი; 13. ფარსი; 15. ასკანა; 18. რანჩო; 21. რაიკონენი; 22. ნეკრესი; 23. ყუმბარა.

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ბ

შვეულად: 1. მოწამეთა; 2. გაგრა; 3. ლაშარელა; 4. კიტონი; 7. ზლოტი; 9. ფრაჟე; 12. ონომასტიკა; 14. ჯულეპი; 15. აგევზია; 17. კასტელი; 20. კომლი.

თარაზულად: 5. სოლალაკი; 6. ათანელი; 8. ფერხული; 10. ესტაფეტა; 11. მთვარე; 13. სტალინო; 16. რედიკული; 18. კაკაო; 19. ფერმი; 21. პომპეი; 22. დიასტოლა; 23. პოპლიკა.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

9 მარტი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.3991

ევრო — 3.6802

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.4708

100 რუსული რუბლი — 2.4641

ამინდის პროგნოზი 9 მარტისათვის

სანჩოს მანჩესტერიდან წასვლა არ სურს

მანჩესტერ იუნაიტედის შემტევ ნახევარმცველს ჯეიდენ სანჩოს გუნდიდან წასვლა არ სურს და ჭორები ამის შესახებ, რომ ის ზაფხულში მანჩესტერ იუნაიტედს დატოვებდა, სიმართლეს არ შეესაბამება:

– მინდა, რომ აქ დიდხანს დავრჩე და გუნდს ტიტულების მოგებაში დავეხმარო. არ ვიცი, ვინ ავრცელებს ჭორებს, მაგრამ ეს ყველაფერი ტყუილია და მანჩესტერში ბედნიერი ვარ.

ხავიმ ბარსელონას პროგრესზე ისაუბრა

ბარსელონას მთავარმა მწვრთნელმა ხავიმ თავისი გუნდის პროგრესზე ისაუბრა და თქვა, რომ ის ძალიან კმაყოფილია იმით, რომ ბარსელონა ზედიზედ იგებს მატჩებს, თუმცა მიღწეულზე გაჩერება არ შეიძლება და ხავიმ ხაზი გაუსვა იმას, რომ ის უფრო მეტს ელის თავისი ფეხბურთელებისგან:

– მინდა, რომ ბარსელონამ ძველი დიდება დაიბრუნოს და ამისთვის ყველაფერს გავაკეთებ, მიუხედავად იმისა, რომ წელს ტიტულების მოგება რთული იქნება.

იურგენ კლოპი: „ლივერპულს დიდი პოტენციალი აქვს“

ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა თავისი გუნდის პოტენციალზე ისაუბრა და თქვა, რომ ლივერპულს ჯერ კიდევ შეუძლია მოუმატოს და უფრო მაღალ დონეზე ავიდეს, თუმცა ის ამჟამინდელი ფორმითაც კმაყოფილია:

– ჩვენ ვიცით, რისი გაკეთება შეგვიძლია, თუმცა, შესაძლოა, ეს ყველაფერი არ იყოს. თუ ფორმას შევინარჩუნებთ, მაშინ ჩვენ მეტოქეებს რთული დღეები ექნებათ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

სალომე ჭაჭუა ირლანდიური „ცეკვავენ ვარსკვლავების“ შემდეგ ტურშია

ქართველი მოცეკვავე სალომე ჭაჭუა და მისი მეწყვილე ირლანდიელი მორაგბე ჯორდან ქონროი „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მომდევნო ტურში გადავიდნენ.

წყვილმა კიდევ ერთი ცეცხლოვანი ცეკვა უმაღლეს დონეზე შეასრულა და ჟიურისა და მაყურებლის მქუხარე აპლოდისმენტები და ხანგრძლივი ოვაციებიც დაიმსახურა.

სალომე და ჯორდანი პროექტის დაწყებიდან ფავორიტ წყვილად ითვლებიან და ტურიდან ტურში საკმაოდ დამაჯერებლად – უმაღლესი ქულებით – გადადიან.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

9 მარტისათვის

ვერძი – ქალებისათვის რთული დღეა, თუმცა, გონივრული მოქმედების შემთხვევაში, ყველა დაბრკოლებას გადალახავთ და თავს უკეთესად იგრძნობთ. **ჯარო** – სასიამოვნო ცვლილებები არ დააყოვნებს. ყველაფერი თქვენს შრომისმოყვარეობასა და მიზანდასახულობაზეა დამოკიდებული. **ტყუპები** – ოჯახის წევრებს თქვენი ყურადღება აშკარად აკლიათ. სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. **კირჩხიბი** – გეგმები ძირფესვიანად გეცვლებათ. საყიდლებზე წასვლა დიდ კმაყოფილებას მოგგვრით. **ლომი** – სამსახურში შეცდომას უშვებთ. ეცადეთ, სიტუაცია გულმოდგინედ გააანალიზოთ და მხოლოდ ამის შემდეგ იმოქმედოთ. **ქალწული** – ყურადღებას ნუ მოადუნებთ, განსაკუთრებით – საქმიან ქაღალდებზე ხელმოწერისას. ბედი გწყალობთ. **სასწორი** – ხელმძღვანელი პირები საკუთარ ავტორიტეტს გაუფრთხილდით. ემოციები მოთოკეთ. **ღრიანკალი** – საბოლოო გადაწყვეტილებას ნაჩქარევად ნუ მიიღებთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. **მშვილდოსანი** – მომხიბვლელობა და კომუნიკაბელურობა საქმეების მოგვარებაში დაგეხმარებათ. ნუ გადაიღლებით. **თხის რქა** – ნუ იქნებით პრეტენზიული. ბედს მიენდეთ. გაითვალისწინეთ პარტნიორის ინტერესები. **მერწყული** – საქმის მოგვარებას ფინანსური სირთულეები მოჰყვება. მოსალოდნელია უთანხმოება ოჯახის წევრებთან. **თევზები** – იაქტიურეთ. პლანეტები გმფარველობენ. ნებისმიერ სფეროში სასიამოვნო ცვლილებები გელით.

გისუსვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

თანამშრომელი დირექტორს თხოვნით მიმართავს:

– ბატონო დირექტორო, გთხოვთ, დღეს ადრე გამიშვათ სამსახურიდან, მეუღლეს მაღაზიაში უნდა გავყვე საყიდლებზე.

– არავითარ შემთხვევაში! მიდით და იმუშავეთ!

– დიდი მადლობა, ბატონო დირექტორო!

●●●

ფსიქიატრიულში ექიმი კროსვორდს ავსებს:

– ასე, შემდეგი კითხვა... კუნძული, რომელზეც ნაპოლეონი დაიბადა...

– ეი, შენ... სად დაიბადე?

●●●

სახლში დაბრუნებული ქმარი ცოლს სადარბაზოსთან შეეჩეხა და გაკვირვებული ეკითხება:

– სად იყავი?

– გახდომა გადავწყვიტე და პიცა აღარ შევუკვეთე, თავად წავედი პიცისთვის.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– პირდაპირ აუტანელი მეზობლები მყავს, ღამის ორ საათზე კედლებზე აბრახუნებენ.

– მერე, შენ რას აკეთებ?

– კიდევ კარგი, მაგ დროს არ მძინავს და ჩემთვის დოლზე ვუკრავ.

●●●

შვილიშვილი პაპას ეკითხება:

– პაპა, რა ჰქვიათ იმ ადამიანებს, ხორცს რომ საერთოდ აღარ ჭამენ?

– პენსიონერები.

●●●

კაცი ქალს ეკითხება:

– რა ქენი, მთელი კონიაკი დალიე?

– აბა რა მექნა, თავსახური დავკარგე და...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა



თამარ გვერდწითელი: „კლინიკაში ვიმყოფები“

მომღერალი თამარ გვერდწითელი აცხადებს, რომ მიღებული სტრესის გამო კლინიკაში იმყოფება.

ინფორმაცია ჟურნალისტმა მაია კახიძემ გაავრცელა.

– შექმნილი ურთულესი ვითარებიდან გამომდინარე, მკაცრად გადავწყვიტე, რომ შემოქმედებითი პაუზა ავიღო. ახლა სიმღერის დრო ნამდვილად არ არის.

ახლა კლინიკაში ვიმყოფები. ჯანმრთელობის პრობლემები სტრესის ფონზე გამიჩნდა.

ძალიან შეწუხებული ვარ, ერთ სტრესს ცილისწამებისგან გამოწვეული სტრესიც დაემატა. თანაც, შემოქმედი ადამიანისთვის ძალიან რთულია გულგრილად უყურო იმას, რაც ხდება და ამის გარდა, ბრალდებებს, თითქოს კრემლში ვიმღერე.

სინამდვილეში, არანაირი კონცერტი არ გამართულა. მოსკოვში ჩატარდა კონცერტი, რომელშიც მე არ ვიმღერე, კლინიკაში ვიმყოფები.

ხდება ძველი საკონცერტო ჩანაწერების ტირაჟირება, რომლებიც რუსულ არხებზე ტრიალებს. ძველ გამოსვლებს აჩვენებენ, რომლებიც ამათ შედევრებთან დაკავშირებულია და ამ მომღერლებს შორის მეც აღმოვჩნდი. ვიმეორებ – ეს ძველი ჩანაწერია ლეშენკოსთან ერთად. არც გუშინ მიმღერია, არც დღეს ვარ და არც ხვალ ვაპირებ.

მე შემოქმედებითი პაუზა ავიღე – ექვსი თვე აღარ ვიმღერებ არსად. ახლა ისეთი ფაზაა, რომ სხვა გამოსავალს უბრალოდ ვერ ვხედავ, ახლა მუსიკა და სიმღერა საჭირო არ არის.

პირველივე დღეებში ვფიქრობდით მე და დედა, რომ რუსეთი დაგვეტოვებინა, მაგრამ რადგან ცუდად ვარ, ყურადღება ამ საკითხისკენ გადავიტანე.

ამ კვირებში გაირკვევა ყველაფერი – თუ წამოვალ, ჩემს სამშობლოში წამოვალ. მიუხედავად ამხელა ცილისწამებისა, მე ქართველი ვარ. თუ ასეთი სტრესი იქნება და ეს საშინელება გაგრძელდება, რომელ სიმღერაზეა საუბარი.

დედა ოდესელია. პოლიტიკას სულ რომ არ შევეხოთ, წარმოიდგინეთ ის გლოვა და ტირილი, რაც ჩვენს ოჯახში ხდება. მე პოლიტიკაში არასოდეს ჩავრთულვარ, მაგრამ ჩემი ოჯახისთვის, რაც ხდება, იმდენად სტრესულია, რომ ჯანმრთელობის პრობლემებიც კი შემექმნა. ამიტომაც, მივიღე შემოქმედებითი პაუზის აღების გადაწყვეტილება, ვერსად ვიმღერებ, – თქვა თამარ გვერდწითელმა.

ვალერი მელაძე რუსულმა მუსიკალურმა არხმა დაბლოკა

მომღერალი ვალერი მელაძე რუსულმა მუსიკალურმა არხმა, „რუ.ტივიმ“ დაბლოკა.

მასთან ერთად დაბლოკილია ვერა ბრეჟნევა და სხვა უკრაინელი შემსრულებლები. თანამშრომლობის შეწყვეტის მიზეზად სახელდება მუსიკოსების მკაცრი განცხადებები რუსეთისა და მათი კოლეგების წინააღმდეგ, რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ.

მაყურებელი „რუ.ტივის“ ეთერში ვეღარ იხილავს ივან დორნს, მაქს ბარსკის, პოტაპს, ნასტია კამენსკის, სვეტლანა ლობოდასა და რუსულ ჯგუფ „აკვარიუმს“.

– „რუ.ტივი“ წინა პლანზე აყენებს მსმენელთა პატივისცემას. მუსიკოსების ქედმაღალი, ზიზღისმომგვრელი დამოკიდებულება რუსი მსმენელების მიმართ პოლიტიკური პოზიციის გამოხატვისას სხვა გზას არ ტოვებდა, ამიტომაც გადაწყდა ზემოხსენებულ მუსიკოსებთან არსებული კონტრაქტების შეწყვეტა, – ნათქვამია „რუ.ტივი“-ის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში.

სხვა რუსულმა არხებმა კი სასწრაფოდ შეაჩერეს ყველა რეკლამა, სადაც ცნობილი ვარსკვლავი, მაქსიმ გალკინი მონაწილეობდა. მიზეზი მისი პოლიტიკური შეხედულებები გახდა. გალკინმა პუტინის აგრესია უკრაინის მიმართ ღიად დაგმო. მისი რეკლამების შეზღუდვასთან დაკავშირებით, მაქსიმ გალკინს ჟურნალისტებთან კომენტარი არ გაუკეთებია.

მიხა ხელაშვილს ეროვნული გმირის წოდება მიანიჭეს

პოეტ მიხა ხელაშვილს, რომელიც 25 წლის ასაკში საკუთარმა მეგობრებმა ღალატით მოკლეს, ეროვნული გმირის წოდება მიანიჭეს.

ინფორმაცია მსახიობმა ზაზა პაპუაშვილმა გაავრცელა:

– ეს წუთია გავიგე და გავიხარე. გადაწყდა. მიენიჭა. მიხა ხელაშვილი ეროვნული გმირი. ხოდა, ვიცი, თქვენც გაიხარებთ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოიდი ა



შვეულად: 1. მოვლენათა თანმიმდევრული, მონაცვლეობითი განვითარების გზა; 2. სახელმწიფო ჩრდილო ამერიკაში; 3. მეტისმეტად თამამი, უბოდიშო გოგონა; 4. იაპონური საავტომობილო კონცერნი; 7. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში; 8. ქართველი კინორეჟისორი ქალი; 12. სამეფო რეზიდენცია მადრიდში; 14. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 16. მათემატიკის ნაწილი; 17. უცოლშვილო ასაკოვანი მამაკაცი; 19. სუმოისტთა ტურნირი იაპონიაში; 20. იტალიის ფეხბურელთა გუნდი.

თარაზულად: 5. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის დედაქალაქი; 6. ქართველ ქალთა ძველებური თავსაბურველი; 9. „სამანიშვილის დედინაცვლის“ პერსონაჟი; 10. თეატრალური პრემია საქართველოში; 11. მწვადის შეწვის დროს ჩამოჟონილი ცხიმი; 13. ჰოლანდიური ყველი; 15. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 18. ჯეიმს ჯოისის რომანი; 21. წითელი ფერის ნახევრად ტკბილი ქართული ღვინო; 22. ტარზანის პერსონაჟის შემქმნელი ამერიკელი მწერალი; 23. უნივერსიტეტი პარიზში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა